ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 2 აპრილი, 2019 | №77 (8031) | ფასი: 60 თეთრი

ვაკეში მიწის ჩამოშლას 2 მუშის სიცოცხლე შეეწირა



გვ.7

2 აპრილიდან

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

რჩეული ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ივანიშვილმა მეუფე პეტრეს ნაციონალებთან სიტუაციის დალაგება სთხოვა?

გვ.3

„ოცნების“ ლიდერმა ხიბულაში 104 წლის ქადარს დაადგა თვალი

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნება“ ჟონგლიორობს“

„მე დღეს თუ რაიმე მაძლევს იმედს, ეს არის ორი რამ: ერთი, რომ წინ არჩევნებია და რომლის წაგების ძალიან ეშინია „ქართულ ოცნებას“ და მეორე, თავად „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები“

„ივანიშვილმა საქართველო პირად დუქნად გადააქცია“



გვ.2

„საკმარისია 100.000 კაცი გამოვიდეს ქუჩაში, რომ ხელისუფლებას პამპერსები დასჭირდება“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „ზელენსკიმ გამარჯვების შემდეგ შეიძლება თავისი პოლიტიკური კურსი შეცვალოს“

ირაკლი პეტრიაშვილი: „სამეწარმეო ტრაგედიების დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა იყოს“

გვ.4

გვ.6

„მძღოლების გაბრაზება ჯობია რეგულაციებზე, ვიდრე პანაშვიდებზე სიარული“

სამართალი გვ.7

ადვოკატი პაპოშვილი: „იაგო ნებიერიძის დანაშაულში მხილების მტკიცებულება არ მომისმენია“



„დირსის“ კორპუსებში 150 დევნილია შეჭრილი

უსაფრთხოებას პოლიცია იცავს

16 წლის გორელი გოგონა, რომელიც 40 დღე კომაში იყო, გარდაიცვალა

ეკონომიკა გვ.6

ვის შეუძლია ეკონომიკის სამინისტროს ახალი პროგრამით სარგებლობა და ვინ რჩება მის მიღმა

კაკულია ქობულიას მიმართავს — ჩვენ შიდა კონსულტაციებზე ბევრ რამეზე შევთანხმდით, რომელიც დროში ძალიან იწელება

2018 წელს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 3 მილიარდი ლარით გაიზარდა

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებული აფხაზეთის „საპრეზიდენტო“ მარათონში ასტამურ თარბა ჩაება

2 სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილმა რეფორმების პროცესი დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება“

5 ოთარ კახიძე: „მმართველი პარტია ცდილობს, ჩინჩალაძის „კლანს“ გადაუფორმოს უზენაესი სასამართლო“

2 სერგეი ლავროვი: „რუსეთი განაგრძობს აფხაზეთის მხარდაჭერას საერთაშორისო არენაზე პოზიციების გასაძლიერებლად“

„ივანიშვილმა საქართველო პირად დუქნად გადააქცია“

„საკმარისია 100.000 კაცი გამოვიდეს ქუჩაში, რომ ხელისუფლებას პამპერსები დასჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

ბეჟან ნათელაშვილი: „ოცნება“ პოლიტიკური გარდაცვალების წინ ეპისკოპოსებთან დარბის საზიარებლად“

რას აპირებს 11 აპრილს ლეიბორისტული პარტია, რატომ უნდა ეშინოდეთ დეპუტატებს ხელფასის გაზრდის, რატომ მოუხშირეს „ოცნების“ ლიდერებმა ეპისკოპოსებთან სიარულს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი **ბეჟან ნათელაშვილი** ესაუბრება.

– ბოლო დღეებში ხელისუფლების წარმომადგენლები გაუგონარ რწმენაში ჩავარდნენ. ივანი შვილი და მისი მთავრობის წევრები ეპისკოპოსებთან შეხვედრას შეხვედრაზე მართავენ. ეს მოახლოებულ რიგგარეშე არჩევნებს უკავშირდება თუ მართლა მოხდა მათი მოქცევა?

– ეს შეხვედრები არაფერია თუ არა პოლიტიკური გარდაცვალების წინ პოლიტიკური ზიარება. სხვა შეფასებას ამას უბრალოდ ვერ მივცემ. ქვეყანაში არის სტაგნაცია, სრული ჩავარდნა, კრახია ყველა მიმართულებით. ამას მხოლოდ ამ ხელისუფლების დამთავრებით დაესმება ნერტილი.

„ოცნება“ ძალიან მალე დამთავრდება. შეიძლება ლიდერები ვერ ხვდებიან, მაგრამ ეპისკოპოსებთან, სინამდვილეში, პოლიტიკური გარდაცვალების წინ, პოლიტიკური ზიარების მისაღებად დარბიან.

– პოლიტიკურად წესსაც ეპისკოპოსები აუგებენ?

– პოლიტიკურად წესს საზოგადოება აუგებს. ამ შემთხვევაში მამაოს როლს მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი შეასრულებს.

„ოცნების“ დასრულება არის გარდაუვალი. უზნეობის ჩაიდანი, რომელიც ივანი შვილმა საქართველოს დაატეხა თავს, გადადუღების პროცესშია. ადუღებული ჩაიდანი ან უნდა გამორთო, ანდა იქიდან წყალი ორთქლის სახით ამოვა.

– სანამ ეს ჩაიდანი გამოურთავთ, ან იქიდან წყალი აორთქლებულა, ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის დაუღალავად იღწვიან. „ოცნების“ წევრი რომან კაკულია მიიჩნევს, რომ დეპუტატის ხელფასი კიდევ უნდა გაიზარდოს. უნდა გაეზარდოთ თუ არა კანონმდებლებს ჯამაგირი?

– „ქართული ოცნების“ წევრები უკვე გაუმაძღრობის ფაზაში გადავიდნენ. ეს ფაზა ადამიანებს ყველა გრძნობას უხშობს. ისინი პირადი უსაფრთხოების დაცვაზეც კი აღარ ფიქრობენ,

ამ გაჭირვებულ და დამშეული ადამიანებით სავსე ქვეყანაში ისედაც ჯიბეგასქელებული დეპუტატი რომ კიდევ ხელფასის გაზრდას ითხოვს, რა გარანტია აქვს, რომ გაღატაკებული მეზობელი არ „დაუპადიეზდებს“ და თავში რამეს არ ჩასცხებს.

ქვეყანაში, სადაც ადამიანები შიმშილით და უწამლობით კვდებიან, უნამუსობაა, დეპუტატებს ასეთი მაღალი ხელფასი ჰქონდეთ. ესენი ამითაც არ კმაყოფილდებიან და კიდევ უფრო მეტი უნდათ.

პენსია 20 ლარით გაზარდეს და ამის გამო მთელ საქართველოს კალთები ჩამოგვახიეს – აი, ეს რა ვქენითო. არადა სატრაბახო არაფერი აქვთ, მათ ხალხს კი არ მოუმატეს პენსია, არამედ დააკლეს.

– დაკლებაში რას გულისხმობთ?

– ისე გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, რომ 20 ლარით პენსიის გაზრდა არაფერს აღარ ნიშნავს.

– როდესაც ხალხი მშიერია, ასეთ დროს დეპუტატებისთვის ხელფასის გაზრდა დიდი უნამუსობაა, მაგრამ ხალხი კარგადაც რომ ცხოვრობდეს, განა რას მუშაობენ პარლამენტში ისეთს, რომ ხელფასის გაზრდას ითხოვენ.

– მუშაობით არ მუშაობენ, მაგრამ არიან არაადეკვატურები და ამიტომაც ითხოვენ ხელფასების გაზრდას. ისე უნდათ ფული, რომ როგორც უკვე გითხარით, პირადი უსაფრთხოების განცდაც კი აქვთ დაკარგული. იმაზე არ ფიქრობენ, რომ დამშეულმა ხალხმა ერთ დღეს შეიძლება მათ გადაუაროს.

– გადავლით არა, მაგრამ რამდენიმე კანონმდებელს და ერთ მინისტრს სახლები უკვე გაუქურდეს.

– ამ ფაქტის შეფასებებშიც გამოაჩინეს თავიანთი არაადეკვატურობა. განაცხადეს, რომ აი, ჩვენც მოგვადგნენო. თან ისეთი ტონით თქვეს ეს, თითქოს ჩვენ უნდა დავიცვათ მათი უსაფრთხოება.

მმართველ პარტიაში არაადეკვატურობის ზეიმია. სასამართლო სისტემა თავზე გვაქვს ჩამომხობილი. დიდი ხანია, საქართველო ქვეყნად აღარ ითვლება. ხელისუფლებაში მოსულ ივანიშვილს სწორედ ეს ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი. ის იმიტომ მოვიდა პოლიტიკაში, რომ საქართველო სახელმწიფოდან მის პირად დუქნად გადაექცია.

ჩვენ გადავიქცეოდით მის დუქნის დახლზე დაწყობილ საქონლად, რომლითაც ისე ივაჭრებდა, როგორც თავად ჩათვლიდა საჭიროდ.

– ამ დუქნის და მედუქნის წინააღმდეგ ლეიბორისტული პარტია მომავალ კვირას დიდი აქციის მოწყობას აპირებს. გამოვა ხალხი ქუჩაში?

– არ ვიცი, გამოვლენ თუ არა, 11 აპრილს ჩვენ მივალთ ოლიგარქის სასახლესთან და მას საერთო-სახალხო ტყვეობაში ავიყვანთ. იმისთვის, რომ საქართველოს სახელმწიფოს სტატუსი დავუბრუნოთ, მაფიოზებად ქცეული დახლის ვაჭართა ბანდა პოლიტიკურ მოუსავლეთში უნდა გავისტუმროთ.

მარტო მათი გასტუმრებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩადენილზე ყველა მათგანმა უნდა აგოს პასუხი.

– ივანი შვილის სახალხო ტყვეობაში ასაყვანად სხვა პარტიებთანაც თუ მართავთ კონსულტაციებს, თუ ამის გაკეთებას მხოლოდ საკუთარი ძალებით აპირებთ?

– რაც მეტი ხალხი გამოვა აქციაზე, შედეგიც უკეთესი იქნება. კონსულტაციებს არავისთან არ ვმართავთ. ჩვენ გამოცხადებული გვაქვს, რომ აქციას ვატარებთ და ყველას შეუძლია შემოგვიერთდეს. დუქნის სტატუსიდან სახელმწიფოს სტატუსი უნდა დავიბრუნოთ, ამ ბრძოლაში წესით ბევრი უნდა შემოგვიერთდეს.

არ ვიცი რამდენი ადამიანი მოვა 11 აპრილს დაგეგმილ აქციაზე, მაგრამ ბრძოლა რომ იქნება სახელმწიფოს დასაცავად, ამაში დარწმუნებული ვარ.

ამ შემთხვევაში ჩვენ აქციას ტაქსისტებთან ერთად ვაწყობთ. ტაქსისტები არის ის ჩაგრული ფენა, რომელმაც ხმის ამოღება გაბედა. ეს საქართველოს სახელმწიფოდ შედგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუ ხალხი ხმას ამოიღებს, შედეგი აუცილებლად დაიდება. ხალხის რისხვის ყველა ხელისუფლებას ეშინია. აბა ერთი 100.000 ადამიანი გამოვიდეს ქუჩაში, ნახავთ, რომ ხელისუფლებას პირდაპირი გაგებით დასჭირდება პამპერსები.

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზეა, ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც ხალხს უნდა.

დღეს თბილისში დაახლოებით 40.000 ტაქსისტი მოძრაობს. 15.000 მათგანი რომ მაინც გამოვიდეს ქუჩაში, ჩათვალეთ, რომ ტაქსისტების პრობლემა დამთავრდება.

ასევე დამთავრდება ის ყაჩაღთა ბანდა, რომელსაც რატომღაც ქვეყნის ხელისუფლება ჰქვია.

– 13 აპრილს ხელისუფლების საწინააღმდეგო ღონისძიების მოწყობას აპირებს „დაიცავი საქართველო“. თქვენ და ისინი ერთმანეთს ხელს ხომ არ შეუშლით?

– ხელი რაში უნდა შევუშალოთ? ჩვენ ტაქსისტებთან ერთად ვაწყობთ საპროტესტო აქციას. რა უნდა დავით მაღრაძეს, არ ვიცით. ეს ადამიანი ყველა ხელისუფლებას მოერგო, მერე ყველას გაექცა. მხედრიონიდან მოყოლებული, ყველა ძალის აგიტატორი ეგ იყო.

– არ გჯერათ, რომ „დაიცავი საქართველო“ საქართველოს დაიცავს?

– არა მგონია, ამათ საქართველო დაიცვან. რამდენადაც ვიცი, ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძეც აქ აპირებენ გაერთიანებას. საქართველოს დაცვა თუ უნდოდათ, აქამდე ეძინათ? აქამდე არსებულ პრობლემებზე ხმას არ იღებდნენ.

– ახლა ხომ ამოიღეს, იქნებ ახლა გაუნათდათ გონება?

– ახლა მათ დაინახეს, რომ გემი იძირება და მაგიტომ აყვირდნენ. ჩასაძირად განწირული გემიდან პირველი ვინ გარბის, ესეც კარგად მოგეხსენებათ. შესაბამისად, ამ ხალხს მე ნდობას ვერ გამოვუცხადებ, ამასთან, არც ხელს შევუშლი, ყველას თავისი გზა აქვს და თუ ბრძოლა უნდათ, იბრძოლონ.

რაც შეეხება 11 აპრილის აქციას, ეს უნდა იყოს ძალიან მასშტაბური. რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ შედეგი დაიდოს.

სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილმა რეფორმების პროცესი დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება“

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა „შპიგელთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილზე ისაუბრა და თქვა, რომ „რეფორმების პროცესი დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება“.

– სააკაშვილმა რეფორმების პროცესი დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება და ამ კუთხით, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მას შეეძლო 21-ე საუკუნის საქართველოს უმნიშვნელოვანესი ფიგურა გამხდარიყო ანდა შეიძლება არა მხოლოდ ერთი საუკუნისა. მაგრამ მან თავი დაკარგა ამ ძალაუფლებაში და ავტორიტარული გახდა, რამაც რეფორმები სხვა შუქში წარმოაჩინა. და, რა თქმა უნდა, მის ერთ-ერთ უდიდეს შეცდომას წარმოადგენდა, რომ ის ვერ გაუმკლავდა 2008 წლის ომის დროს რუსეთის პროვოკაციებს. ასე გადაიქცა „გაყინული“ კონფლიქტი ტერიტორიების უშუალო ოკუპაციად, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

სერგეი ლავროვი: „რუსეთი განაგრძობს აფხაზეთის მხარდაჭერას საერთაშორისო არენაზე პოზიციების გასაძლიერებლად“

რუსეთი განაგრძობს აფხაზეთის მხარდაჭერას საერთაშორისო არენაზე პოზიციების გაძლიერებაში, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრთან, დაურ კოვესთან შეხვედრაზე განაცხადა.

სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ „რუსეთსა და აფხაზეთს ორმხრივი ურთიერთობებისთვის მდგრადი საფუძველი აქვთ“. მან ასევე აღნიშნა საგარეო პოლიტიკის კუთხით კოორდინირების მექანიზმების ეფექტურობა.

– ჩვენ განვაგრძობთ აფხაზეთისთვის დახმარების გაწევას მისი საერთაშორისო პოზიციების გაძლიერების კუთხით. ასევე დიდ შეფასებას ვაძლევთ რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით შესრულებულ ამოცანებს, მათ შორის ჟენევის დისკუსიების ფარგლებში ურთიერთქმედებას, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ივანიშვილმა მეუფე პეტრეს ნაციონალებთან სიტუაციის დალაგება სთხოვა?

„ოცნების“ ლიდერმა ხიბულაში 104 წლის ქადარს დაადგა თვალი

შორენა მარსაგიშვილი

სამეგრელოში ბიძინა ივანიშვილის ბოლო ვოიაჟს და იქ უხვად გაცემულ დაპირებებს დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ყველა აღიარებს, რომ მილიარდერის კოლხეთის დაბლობზე ჩასვლა ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნებს უკავშირდება.

ეს ასეც არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მთავარი მეოცნებეს მოგზაურობის დეტალებს, აღმოვაჩენთ, რომ ის მხოლოდ საარჩევნოდ ხალხის გულის მოსაგებად არ ჩასულა სამეგრელოში.

ოფიციალურად გაკეთდა განცხადება, რომ ივანიშვილი ჭყონდიდელ მიტროპოლიტს შეხვდა. ამ ინფორმაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგანაც მეუფე პეტრე და „ქართული ოცნება“ ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში არ არიან.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი არ მალავს, რომ მიხეილ სააკაშვილთან და მის მეუღლესთან ახლობლობდა. მეუფეს და ახალაიების ოჯახის მეგობრობაც ყველასთვის ცნობილია. აქედან გამომდინარე ცოტა უცნაურია, რატომ შეხვდა „ოცნების“ ლიდერი მეუფე პეტრეს.

მეუფე პეტრემდე მთავარმა მეოცნებემ მეუფე გერასიმე მოინახულა. ამ უკანასკნელს ხშირად სტუმრობს ხოლმე შს მინისტრი გიორგი გახარია.

მმართველ პარტიაში კულუარულ საუბრებში ადასტურებენ, რომ მეუფეებთან შეხვედრები ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნებს უკავშირდება.

„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ წერდა იმის შესახებ, რომ მეუფე გერასიმე აქტიურად მონაწილეობდა წინასაარჩევნო პროცესებში, სწორედ მეუფეს დამსახურებაა, რომ არჩევნების წინ მმართველ გუნდში მერობის კანდიდატთან დაკავშირებით დაპირისპირება არ მოხდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მეუფე გერასიმემ დაარწმუნა ირაკლი ჩიქოვანი, რომ ზუგდიდის მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის უფროსობას დათანხმებოდა. არადა თავიდან მერობის კანდიდატად სწორედ ჩიქოვანი მოიაზრებოდა.

კორცხელის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე გამართულ შეხვედრაზე, რომლის ამსახველი ფოტოებიც „ახალმა თაობამ“ გამოაქვეყნა, ეპისკოპოსი ჩიქოვანს დაჰპირდა, რომ თუ შტაბის უფროსობას დათანხმდებოდა, 2020 წლის არჩევნებისთვის ის მას მაჟორიტარად გაუწევდა რეკომენდაციას.

მეუფე გერასიმეს ზუგდიდზე სერიოზული გავლენები აქვს და, ბუნებრივია, რომ მოგების წყურვილით აღვსილი ივანიშვილი მას შეხვდა და დახმარება სთხოვა, მაგრამ უცნაურია, როგორ უნდა დაეხმაროს მას ამ საქმეში ჭყონდიდელი მიტროპოლიტი.

კავშირები ზუგდიდში მასაც აქვს, პატივსაც სცემენ. მაგრამ მეუფე პეტრე ახალაიების ახლობელია. ახალაიების ოჯახი კი „ოცნებასთან“ ძალიან შორს არის.

და რაც მთავარია, მეუფე პეტრესთან დაახლოებული ნაციონალების მერობის კანდიდატი სანდრა რულოვსია. აქედან გამომდინარე საეჭვოა, რომ ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ხალხს თავისი ახლობლის წინააღმდეგ წასვლა ურჩიოს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნაციონალებთან დაახლოებულ მეუფეს მეგობრები „ქართულ ოცნებაშიც“ ჰყავს. სწორედ მისი დამსახურებით მოიგო მაჟორიტარული არჩევნები სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა ოთარ დანელიამ.

დიდი ალბათობით, მეუფე პეტრესა და ივანიშვილის შეხვედრას ორგანიზება სწორედ დანელიამ გაუკეთა.

მეოცნებეები შეხვედრასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. მცირე კომენტარით შემოიფარგლა ივანიშვილის მასპინძელიც.

მეუფე პეტრეს თქმით, შეხვედრაზე სახელმწიფოებრივ საკითხებსა და პრობლემებზე ისაუბრეს.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბობს, რომ საუბარი არ ყოფილა ზუგდიდში გასამართ ადგილობრივ არჩევნებზე.

მეუფის განცხადებითვე, განხილულ იქნა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ადგილის აღორძინება და იქ ეკლესიის აღდგენა.

ამ შეხვედრაზე იყო თუ არა ციანიდის საქმეზე საუბარი, უცნობია. ამის მიუხედავად, ამ თემაზე მეუფე პეტრე პატარა კომენტარს აკეთებს და იმედოვნებს, რომ ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მალე დატოვებს საპატიმროს.

მეუფე იმედს გამოთქვამს, რომ მამა გიორგი მამალაძეს სააღდგომოდ შეიწყალებენ. მეუფე პეტრეს თქმით, თუ გადაწყვეტილება დაგვიანდება, მსჯავრდებულს აუცილებლად მოინახულებს.

– იმედი მაქვს, რომ აღდგომის მადლით, საპატრიარქო გადადგამს ადეკვატურ ნაბიჯს და მალე ვიხილავთ თავისუფლებაზე მამა გიორგის. თუ დღის წესრიგში დადგება და დაგვიანდება მისი გათავისუფლება, აუცილებლად მოვინახულებ, – აღნიშნა მეუფე პეტრემ.

როგორც უკვე ვთქვით, მეუფე პეტრესა და ივანიშვილის შეხვედრას ბევრი ჭორი მოჰყვა.

„ოცნებაში“ მართალია ამის დაშვება არ უნდათ, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ ივანიშვილმა მეუფე პეტრეს ნაციონალებთან და მიხეილ სააკაშვილთან სიტუაციის დალაგებაში დახმარება სთხოვა.

მმართველი პარტიისთვის ზუგდიდის მერის არჩევნების მოგება აუცილებელია, მაგრამ ეს ზედმეტი ხმაურის გარეშე უნდა გააკეთონ. კორცხელიადა აქ აღარ გამოადგებათ, რადგან გასულ წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ივანიშვილს მთელმა სამყარომ დაუგმო.

ხიბულას ქადარი

სამეგრელოში მყოფმა ივანიშვილმა ხობის რაიონის სოფელი ხიბულაც მოინახულა, სადაც პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღვაწლზე ისაუბრა. ამან საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია, რადგან მთავარ მეოცნებეს აქამდე საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისი ღვაწლი არ გახსენებია.

აღშფოთებული ხალხი ამბობს, რომ ივანიშვილი ხიბულაში ამომრჩევლის გულის მოსაგებად ჩავიდა. სამეგრელოსა და ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ბევრი მომხრე ცხოვრობს.

მართლა აღმაშფოთებელია, როცა გარდაცვლილ პრეზიდენტს იმიტომ იხსენებ, რომ ხმები მოიპოვო და ამიტომ ჩადიხარ ხიბულაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას სხვა მიზნებიც ჰქონდა.

ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო „ახალ თაობას“ უყვება, რომ ხიბულაში მყოფმა ივანიშვილმა 104 წლის ქადარიც მოინახულა. „ახალი თაობა“ ამ ქადრის ფოტოსაც გთავაზობთ.

როგორც ჩვენი წყარო ყვება, ქადარი, რომელმაც მთავარი მეოცნებეს ყურადღება მიიქცია, ხიბულას სასაფლაოზე დგას.

აღმოჩნდა, რომ ეს მხცოვანი ხე უნიკალურია. მისი დატოტვა ერთი მეტრიდან იწყება, რაც ქადრებს არ ახასიათებს. აქედან გამომდინარე რა გასაკვირია, რომ მეოცნებე მისით დაინტერესდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ხიბულას მოსახლეობა ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა. ივანიშვილის მონახულებული ხე შუა სასაფლაოზე დგას. ოცნებათუხუცესმა თუ ამ ხის გადატანა გადაწყვიტა, საფლავების ნაწილი უნდა გადაითხაროს.

ივანიშვილი სასურველი ხის ხელში ჩასაგდებად უკან რომ არაფერზე იხევს, ეს ყველამ იცის. ამიტომაც არც საფლავების ამოთხრას მოერიდება, რასაც ხიბულაში დიდი დაპირისპირება მოჰყვება.

ახლა ადგილობრივები თავს მხოლოდ იმით იმშვიდებენ, რომ პირველ მეოცნებეს ხის გადატანის სურვილი არ გამოუთქვამს და ქადარი მხოლოდ შეათვალიერა.

ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნება“ ჟონგლიორობს“

„მე დღეს თუ რაიმე მაძლევს იმედს, ეს არის ორი რამ: ერთი, რომ წინ არჩევნებია და რომლის წაგების ძალიან ეშინია „ქართულ ოცნებას“ და მეორე, თავად „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები“

ნათია ხურცილავა

იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, თბილისში ვენეციის კომისიის წარმომადგენლები იმყოფებიან. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ მზად არიან ვენეციის კომისიის შენიშვნები გაითვალისწინონ მოსამართლეებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე. თუმცა, კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებულია. თქვენი მოლოდინი როგორია?

– ჩვენ გვაქვს გამოცდილება თუ როგორია ამ ხელისუფლების ურთიერთობა ვენეციის კომისიასთან და მათ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მე გაგახსენებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ პირობა დადო, რომ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდნენ. თუმცა, მაშინაც ანალოგიურად საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით უკვე მიღებული იყო, როგორც ამ კანონპროექტის შემთხვევაში. ამით უკვე ძალიან ბევრია ნათქვამი. ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებამ ზუსტად იგივე ტაქტიკით იმოქმედა. ეს ნიშნავს იმას, რომ სისტემური, არსებითი საკითხი უკვე გადაწყვეტილია და პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტზე, იმ ფარგლებში მსჯელობს ვენეციის კომისია. აქ მთავარი კითხვა შემდეგია: თუკი ვენეციის კომისია უკვე მიღებული კანონპროექტისგან განსხვავებულ რეკომენდაციას დადებს, უარს იტყვიან ამ კანონპროექტზე? ცხადია, ამ კითხვაზე ისინი არ უპასუხებენ, რადგან რაც უკვე მიღებულია, იმას არ შეცვლიან.

– აბა როგორ გაითვალისწინებენ?

– საქმეც ეგაა, გაითვალისწინებენ უკვე მიღებულზე შენიშვნებს. როდესაც კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებულია, იქ უკვე შინაარსს ვერ ცვლი. მეორე მოსმენა ითვალისწინებს მუხლობრივ განხილვას. მესამე კი რედაქციული ხასიათისაა ანუ ტექნიკური შენიშვნები შედის მხოლოდ.

თუკი ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებას აპირებდნენ, მაშინ რატომ ჩქარობდნენ, რატომ მიიღეს კანონპროექტი პირველი მოსმენით?! ეს ხომ არის ლოგიკური კითხვა?! რატომ არ დაელოდნენ?

– ამ კითხვაზე ანრი ოხანაშვილმა უპასუხა, რომ უზენაეს სასამართლოში მართლმსაჯულება იგვიანებს და მოქალაქეების სარჩელები თაროზეა შემოდებული, ამიტომ გვეჩქარებაო.

– ეს არის ის მოცემულობა, როდესაც „ქართული ოცნება“ ჟონგლიორობს სიტყვებით. ამას სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ. ქვედა ინსტანციების სასამართლოებში იცის ბატონმა ანრი ოხანაშვილმა, რამდენია მინიმალური დრო საქმის განხილვის?! საერთოდ გაუგია ამის შესახებ, აქვს ეს ინფორმაცია?! მე ვეტყვი: ერთი წლის წინ შეტანილ სარჩელებზე, პირველი მოსმენაც კი არ არის ჩატარებული. და ამ დროს – მართლმსაჯულებას აგვიანდებაო, ამით ცდილობენ შეფუთონ ის, რაც უბრალოდ ვერ იფუთება. არათუ უზენაეს სასამართლოშია საქმეები თაროზე შემოდებული, ქვედა ინსტანციებშია საქმეები გაჩერებული. კი ბატონო, უზენაეს სასამართლოში არის პრობლემები, მაგრამ არა იმ მასშტაბის, რომ ასე შეიფუთოს ეს საკითხი, თითქოს მოქალაქეებზე ზრუნავენ და ამიტომ ეჩქარებათ. ეს არის საკუთარი ზრახვების, ვიწროპარტიული ინტერესების შეფუთვა და სხვა არაფერი.

– გამოდის, ვენეციის კომისია პროცესის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასაკეთილშობილებლად ჩართეს?

– მე პირადად არ მაქვს ოპტიმიზმის საფუძველი სწორედ იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც გავიხსენე. არ მაქვს მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ იმოქმედებს არა ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სახელმწიფოებრივად. „ქართულ ოცნებას“ არ მოუცია ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, საფუძველი, რომ ამის საპირისპიროდ მეფიქრა, ამიტომ მე არ მგონია, რომ მმართველი პარტია აპირებდეს ვენეციის კომისიის დასკვნისა თუ შენიშვნის გათვალისწინებას. ანუ, როგორც გითხარით, ისინი იმსჯელებენ მოცემულობიდან გამომდინარე, რა მოცემულობაც მათ უკვე დახვდათ კანონპროექტთან დაკავშირებით. ამის იქით ვერ წავლენ. ეს არის რეალობა.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, არჩევნების ფაქტორს რამდენად ექნება გავლენა, რომ ეს ადამიანები უზენაეს სასამართლოში ვერ მოხვდნენ?

– მე დღეს თუ რაიმე მაძლევს იმედს, ეს არის ორი რამ: ერთი, რომ წინ არჩევნებია და რომლის წაგების ძალიან ეშინია „ქართულ ოცნებას“ და მეორე, თავად „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები.

– რას გულისხმობთ?

– მმართველ პარტიაში მიმდინარე პროცესებში ვგულისხმობ იმას, რომ იქ არ არის ერთგვაროვანი პოზიცია ამ საკითხზე. ვიღაცები გამოდიან და ამბობენ, რომ ეს სია, ანუ უზენაესში ასარჩევი ადამიანების სია, მათთვის წყალგამყოფი იქნება. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ იმ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით, რომ „ქართული ოცნება“, როგორც ასეთი, 2020 წლამდე ვერ მიაღწევს. ამაში დარწმუნებული იყავით. ამას დაუმატეთ მათ მხარდამჭერებში მიმდინარე პროცესები. „ქართული ოცნების“ უშუალო ელექტორატის იმედგაცრუება, რომლის ნათელი მაგალითი იყო საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური. თან კარს მომდგარი არჩევნები, ეს იქნება შუალედური არჩევნები თუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

– თუკი მაინც მიიღებს ამ გადაწყვეტილებას საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა, მაშინ რყევები გარდაუვალი იქნება?

– რა თქმა უნდა! თუკი ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მაშინ მე მგონია, რომ სწორედ ეს ადამიანები ითამაშებენ მნიშვნელოვან როლს. ე.წ. ძველებისადმი გაცემული დაპირება გაიხსენეთ. მათ მიიღეს დაპირება, რომ ასე აღარ გაგრძელდებოდა და ამის შესახებ ისინი საჯაროდ საუბრობდნენ.

რეალურად ეს მხოლოდ კანონი არ არის. ამ კანონს აუცილებლად მოჰყვებიან ის ადამიანები, რომელთა გათეთრებასაც ასე ცდილობს „ქართული ოცნება“.

უზენაესი სასამართლო არის ბოლო ინსტანცია. ამით ყველაფერი ნათქვამია. მოსამართლეთა ეს ჯგუფი ყოველთვის იქნება გარანტორი პოლიტიკური ლოიალობისა, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რა ხარისხის დემოკრატია გვექნება ქვეყანაში.

ირაკლი პეტრიაშვილი: „სამეწარმეო ტრაგედიების დროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა იყოს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში მორიგი ტრაგედია მოხდა, რაც სამეწარმეო საქმიანობას უკავშირდება. 31 მარტს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე მიწა ჩამოიშალა, რამაც 2 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შრომის ინსპექტორი ამბობს, რომ არ ხდებოდა რისკების შეფასება და ამან გამოიწვია ტრაგედია. სახალხო დამცველი კი 2017-18 წლების სტატისტიკას აქვეყნებს, საიდანაც ჩანს, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილია წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევები.

31 მარტის ტრაგედიაზე და ზოგადად ამ მხრივ არსებული გამოწვევების შესახებ „ახალი თაობა“ გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელ **ირაკლი პეტრიაშვილს** ესაუბრა.

– მშენებარე ობიექტზე მორიგი ტრაგედია მოხდა, რა შეფასებას გააკეთებთ?

– უბედური შემთხვევა, რაც მოხდა, არის ის, რომ სისტემური პრობლემა და ხარვეზია, რაც აქვს კანონმდებლობას. მხედველობაში მაქვს ის, რომ სხვადასხვა დონეზე გაბნეულია სახელმწიფო უწყებებში, ზედამხედველობაზე მერია ცალკე მუშაობს, შრომის ინსპექცია ცალკე მუშაობს, ეკონომიკის სამინისტროში არსებული ზედამხედველობის სამსახური კიდევ ცალკე მუშაობს. ყველაფერი გააბნიეს სხვადასხვა უწყებებში და პროფკავშირების რეკომენდაციები არ გაითვალისწინეს. ერთი უწყების დაქვემდებარებაში, სამმხრივი პარტნიორობის კომისიის ქვეშ უნდა ყოფილიყო და ყველა ფუნქცია ჰქონოდა ამ ორგანიზაციას, აი ეს არის გამომწვევი მიზეზი, რომ ვერ ხდება მობილიზება, ვერ ხდება ოპერატიულობა.

მხოლოდ მინიმალური სანქციები, ის ჯარიმაც, რაც უნდა გადაიხადოს დამსაქმებელმა ანუ სამუშაოს მწარმოებელმა, საკმარისი არ არის და უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ეს არის ჩემი შეფასებაც და ეს არის გამოსავალიც.

– თქვენ რა არგუმენტი გითხრეს მაშინ, როდესაც არ შეასრულეს თქვენი რეკომენდაცია?

– არგუმენტი ის იყო, რომ საერთოდ არაფერი არ იყო და ნაბიჯ-ნაბიჯ რეკომენდაციებს ვითვალისწინებთ, საერთაშორისო მოთხოვნებსო. ინსპექცია, რომელიც არ იყო, გვაქვს, უსაფრთხოების კანონმდებლობა, რომელიც არ იყო, გავაკეთეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ სრულყოფისკენ და 2021 წლისთვის ყველაფერი გვექნებაო. ვეუბნებოდი, რომ ყოველდღიურად უამრავი ადამიანი დგება რისკის ქვეშ. ამის არგათვალისწინება, ბუნებრივია, უბედურ შემთხვევებს იწვევს.

– ხელისუფლებას კიდევ ერთი არგუმენტი აქვს ხოლმე, რომ ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან უნდა მოახდინონ ჰარმონიზაცია. ხდება ეს?

– ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ხდება. ოღონდ იმ ხარვეზებით, რაც მე ჩამოგითვალეთ. აქ მხოლოდ პროფკავშირების ზეწოლა საკმარისი რომ ყოფილიყო, 2006 წლიდან მიიღებდნენ. ჩვენ მუდმივად ვსაუბრობთ ამ საკითხზე და მუდმივად გვაქვს პროტესტი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ე. წ. ლიბერალიზებულ გარემოსთან დაკავშირებით, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულების მეშვეობით, ჩვენი საერთაშორისო მეგობრების მეშვეობით მოხდა ზეწოლა და ამატომაც კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია, მაგრამ მის აღსრულებასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით არის კითხვის ნიშნები. ამ კითხვის ნიშნებზე პასუხი არის ის ტრაგიკული შემთხვევები, რაც ხდება.

– ბოლო ტრაგედიაზე ჯანდაცვის სამინისტროში არსებული შრომის ინსპექცია ამბობს, რომ გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა ობიექტზე. ამაზე რას იტყვით?

– თუ ობიექტზე არ იყო რაიმე წესრიგში და უსაფრთხოების ნორმები დარღვეული იყო, დამსაქმებელი დაისჯება.

– სახალხო დამცველმა ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც 2017-18 წლების სტატისტიკური მონაცემებია. საგრძნობლად გაზრდილია ასეთი ფაქტები 2018 წელს და მხოლოდ 19 შემთხვევაზე დაიწყო სისხლის სამართლის საქმე. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– ის, რაც სახალხო დამცველს აქვს, არის პროფკავშირების მონაცემები. იმიტომ, რომ ამ კუთხით სტატისტიკას სახელმწიფო არ აწარმოებს. მხოლოდ პროფკავშირები აწარმოებს სტატისტიკას. რაც ყველაზე მთავარია, ეს არ არის სრულყოფილი მონაცემები. ბევრ სექტორში ჩვენ არ გვყავს წარმომადგენელი. ანუ ჩვენი წარმომადგენელი მხოლოდ 27%-შია წარმოდგენილი. იქ რა ხდება და როგორ ხდება მიჩქმალვა ასეთი უბედური შემთხვევებისა, ეს საზოგადოებისთვის უცნობია.

– ჩამოთვალეთ ხარვეზები, ასევე ისაუბრეთ აღსრულების პრობლემებზეც. ხომ არ გგონიათ, რომ არა მხოლოდ შესაბამისი სფეროს, არამედ მთელი საზოგადოების კონსოლიდაციაა საჭირო, თუნდაც პოლიტიკური პარტიების ჩართულობაც?

– პოლიტიკური პარტიების ჩართულობა რამდენად საჭიროა, არ ვიცი. იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტიები საუბრობენ იმ მოტივით, რომ კრიტიკამ მათ მოუტანოს ის სკამები, რომლებიც მათ ოპონენტებს უკავიათ.

საზოგადოების ჩართულობაზე გეთანხმებით, ერთ-ერთია ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა სამუშაო ადგილზე შრომის ინსპექტორის ყოფნის ფუფუნება არ გვაქვს, მაგრამ საზოგადოების ჩართულობა იწვევს გარკვეულწილად პრევენციას.

3 დღის წინ ასეთ ფაქტს როდესაც შევესწარი მშენებლობაზე, ავიღე ტელეფონი, დავურეკე შრომის ინსპექციის ხელმძღვანელს, ჩავაყენე საქმის კურსში, რა ხდებოდა. დაველოდე, სანამ იქ არ მოვიდნენ ინსპექტორები და არ შეაჩერეს მუშაობა. ასე უნდა დავუკავშირდეთ საზოგადოების თითოეული წევრი, უნდა ვაკონტროლოთ შრომის ინსპექცია.

მე ასევე მაინტერესებდა, რამდენად სწრაფად მოვიდოდა შრომის ინსპექცია ჩემ მიერ მითითებულ ადგილზე, სადაც კატასტროფულ მდგომარეობაში მუშაობდნენ. არც დამცავი ქამრები, არც ჩაფხუტები და საერთოდ არაფერი არ ეკეთათ.

აქედან გამომდინარე, საზოგადოება როდესაც ნახავს ასეთ ფაქტებს, მთავარია, რომ ხმა მიაწვდინონ შრომის ინსპექციას და თუ ის ადეკვატური არ იქნება, მაშინ დაუკავშირდნენ პროფკავშირს, რომელსაც გააჩნია გარკვეული ბერკეტები, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია შრომის ინსპექციის მუშაობაზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავად დასაქმებულებმაც კარგად გაითავისონ და დამსაქმებლის რაღაც მათრახზე არ იყვნენ დამოკიდებულნი, რომ მათ ჰქონდეთ დამცავი საშუალებები. მათ უნდა მოითხოვონ და ისინი თავად უნდა უფრთხილდებოდნენ საკუთარ სიცოცხლეს.

ვახტანგ მაისაია: „ზელენსკიმ გამარჯვების შემდეგ შეიძლება თავისი პოლიტიკური კურსი შეცვალოს“

ზელენსკის არ გააჩნია არანაირი პოლიტიკური გამოცდილება, ის შეიძლება ოლიგარქების მართულ ფიგურად გადაიქცეს

გულიკო ბალაძე

უკრაინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს „ახალ თაობასთან“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** აფასებს.

– როგორ აფასებთ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს? პირველ და მეორე ადგილებზე გასულ კანდიდატებს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მეორე ადგილზე გავიდა მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც ღიად აცხადებდა ევროატლანტიკური ორიენტაციის ერთგულებას. თუ პოროშენკო ვერ გაიმარჯვებს, როგორი ვითარება შეიქმნება უკრაინაში?

– უკრაინაში ორი დაკვეთა შესრულდა. პირველ ადგილზე გასული კანდიდატი ვლადიმერ ზელენსკი არის შოუმენი, კავეენშჩიკი და ცნობილი ტელესერიალის „ხალხის მსახური“ გმირი და პოროშენკო. ეს იმას ნიშნავს, უკრაინელი ხალხის მიმართ არის ორი დაკვეთა. პირველი – უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება და კორუფციასთან ბრძოლა.

ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, რომლისთვის ბრძოლის საშუალება კარგად წარმოჩნდა სერიალში „ხალხის მსახური“, სადაც ვირტუალურ პრეზიდენტს ასახიერებდა ვლადიმერ ზელენსკი. მეორე – უკრაინელი ხალხის დაკვეთაა ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი, საცა იგივე რეალობა წარმოჩნდა.

– რატომ წარმოჩნდა იგივე რეალობა?

– იმიტომ, რომ ვლადიმერ ზელენსკიც ამბობს, რომ უკრაინის პირველი პრობლემაა ნატოში გაწევრიანება, ანუ ზელენსკი და პოროშენკო არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს საგარეო პოლიტიკური მიმართულებით. მერე როგორ შეიცვლება ზელენსკის პოზიციები, არავინ იცის.

– რატომ შეიძლება შეიცვალოს ზლენსკის პოზიციები?

– ზელენსკის უკან დგას დნეპროპეტროვსკული კლანი – ოლიგარქ კოლომოისკის დაჯგუფება. თუ არ ვცდები, ფირკაშიც მათთანაა. ზელენსკის არ გააჩნია არანაირი პოლიტიკური გამოცდილება და ის შეიძლება გადაიქცეს რამდენიმე ოლიგარქის მართულ ფიგურად.

დღეისთვის ზელენსკის პოპულარობა გაცილებით მაღალია უკრაინაში არსებული პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით. ზოგადად, უკრაინაში პოლიტიკოსების რეიტინგი ძალიან დაბალია, რადგან მაიდანის რევოლუციის შემდეგ უკრაინაში სიტუაცია თანდათან უარესდება.

უკრაინაში კორუფციამ მეგაასტრონომიულ მასშტაბებს მიაღწია, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია უმწვავესია. ფაქტობრივად, დონბასის რეგიონში საომარი მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოხერხდა. იქ ყოველდღე იღუპება ახალგაზრდობა. ახალგაზრდა თაობა სამშობლოსათვის იბრძვის, მაგრამ ამან პერმანენტული ხასიათი მიიღო და, ფაქტობრივად, უკრაინელი ხალხის გენოფონდი ნადგურდება.

გაიზარდა მიგრაცია. მათ შორის, არალეგალური მიგრაცია დიდია. მიგრანტების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. უკრაინა მუშახელისაგან ცარიელდება. ახალგაზრდობა დასავლეთში გარბის. მხოლოდ პოლონეთში 2-3 მილიონი არალეგალი უკრაინელი მიგრანტია. ბუნებრივია, ეს საკითხი ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გადაჭრა. სამწუხაროდ, ამას ამერიკულმა დახმარებებმაც ვერ უშველა.

ამიტომ, ბუნებრივია, უკრაინაში იყო საპროტესტო ელექტორატი, რომელიც ზელენსკის სახით წარმოჩნდა. მეოთხე ადგილზე გავიდა ასევე იური ბოიკო, რომელიც არის ოპოზიციური პრორუსული ძალის ერთ-ერთი ლიდერი და 9% აიღო. ტიმოშენკომ აიღო 13%, პოროშენკომ – 17%, ზელენსკიმ – 30%. საინტერესოა, რომ ბოიკო გავიდა მეოთხე ადგილზე. ბოიკო პრორუს პოლიტიკოს მედვეჩუკთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში და მოლაპარაკება აწარმოა მილერტან და პრემიერ მინისტრ მედვედევთან. ამიტომ ესეც საინტერესო ფიგურაა, რომელიც ოთხეულში მოხვდა.

– ზელენსკის საპროტესტო ელექტორატმა მისცა ხმაო. ზელენსკიმ განაცხადა, როდესაც პუტინს შევხვდები, ვეტყვი, რომ წართმეული ყირიმი და სხვა ტერიტორიები უნდა დაგვიბრუნოთ. ასევე მოყენებული ზიანისათვის კომპენსაცია უნდა გადაგვიხადოთ. ყოველ შემთხვევაში, წინასწარი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის პრეზიდენტი არც ზელენკისთან იქნება კომფორტულად.

– ზელენსკის კარგი იუმორი აქვს. ეს არის სასაცილო, რადგან პუტინი ყირიმს უკრაინას არასოდეს დაუბრუნებს. არც პუტინის შემდგომი თაობა დაუბრუნებს. ეს გამორიცხულია. ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიალისტურმა ძალებმა აიძულეს და პუტინმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და ანექსია. ამიტომ გამორიცხულია რუსეთმა უკრაინას ყირიმი დაუბრუნოს. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამაზე შეთანხმებულია. ასეთივე პოზიციები აქვთ დონბასთან დაკავშირებით.

ახლა ჟირინოვსკიმ უკრაინის რადაში შეიტანა წინადადება უკრაინის არჩევნები არალეგიტიმურად გამოცხადდეს, ანუ ფაქტობრივად, გამოდის, რომ პუტინი ზელენსკის არჩევას არალეგიტიმურად ცნობს და სამართლებრივ პრობლემებს შეუქმნას. ასევე მოითხოვოს მარიოპულისა და მთლიანი დონბასის დაკავება. ასეთია რუსეთის დამოკიდებულება. ეს არის რეალობა.

ზელენსკის აქვს შანსი პრეზიდენტი გახდეს ყოველგვარი კოალიციების გარეშე. არის ვარიანტი, რომ მეორე ტურში ზელენსკი და ტიმოშენკო ერთმანეთს შეეკრნან. ამით, საერთო ჯამში, ზელენსკიმ აიღოს 43%.

– ამბობთ, რომ ზელენსკის მოთხოვნაზე უკრაინას ყირიმს არ დაუბრუნებენ.

– ვიცი, რომ პუტინის რეჟიმი ყირიმს არ დააბრუნებს.

– პოროშენკოს გამარჯვების შემთხვევაში რა მოხდება?

– პოროშენკოს გამარჯვების შემთხვევაშიც იგივე სიტუაციაა. თუ პოროშენკო გაიმარჯვებს, გააგრძელებს იმ კურსს, რომელიც აქამდე ჰქონდა. გაგრძელდება უკრაინის სვლა ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით. ალბათ, რუსეთი გააგრძელებს ჰიბრიდულ ომს უკრაინის წინააღმდეგ.

გარკვეულწილად, ზელენსკისა და დნეპროპეტროვსკის კლანის გამარჯვებამ, შეიძლება მოსკოვის წისქვილზეც დაასხას წყალი. პოროშენკო იყო ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც ანტირუსულ და ანტიკრემლისტურ პოლიტიკას ატარებდა. მისი პოსტსაარჩევნო გამოსვლა მოვისმინე. მისი გამოსვლის სტილი და პათოსი სწორედ ანტიკრემლისტური იყო. არც ტიმოშენკოსა და არც ბოიკოს ასეთი პათოსი არ ჰქონიათ.

– როგორც ჩანს, ზელენსკისა სააკაშვილს თბილი ურთიერთობები აქვთ. პოროშენკო მეორე ტურში რომ არ გასულიყო, სააკაშვილი უკვე უკრაინაში უნდა ყოფილიყო.

– ზელენსკის დადებითი კომენტარი სააკაშვილთან დაკავშირებით წმინდა რიტორიკისთვის გაკეთდა, ულტრანაციონალისტების ხმები რომ არ დაეკარგა. პოროშენკოს ამით წაართვა ულტრანაციონალისტების ხმები. ეს არის ტექნოლოგიური ხრიკი. კოლომოისკი არის სააკაშვილის დაუძინებელი მტერი. უკრაინაში რომ შევიდეს, კოლომოისკი პირადად ტყვიას დაახლის შუბლში.

– ბოლო პერიოდში შერიგდნენო.

– სააკაშვილი და კოლომოისკი არ შერიგებულან. აქ კიდევ მეორე პიროვნებაც ერთვება – ავაკოვი. ავაკოვმა შეიძლება შეინარჩუნოს შს სამინისტროში პოზიციები. ასევე შეინარჩუნოს ნაციონალურ გვარდიასა და შინაგან ჯარებზე კონტროლი. არა მგონია, კოლომოისკისა და ავაკოვის დუეტი სააკაშვილთან შერიგებული იყოს. მეორეც, უკრაინაში ყველამ იცის, რომ სააკაშვილი არის მოსკოვის კადრი. შესაბამისად, თუ სააკაშვილი უკრაინაში ჩავა, მოსკოვის დაკვეთის შესასრულებლად ჩავა.

– ანუ ზელენსკი გაიმარჯვებს?

– კი, ზელენსკის გამარჯვების ალბათობა მაღალია. აქედან გამომდინარე გამოიკვეთება დნეპროპეტროვსკის კლანის კოლო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ოკუპირებული აფხაზეთის „საპრეზიდენტო“ მარათონში ასტამურ თარბა ჩაება

უშველის თუ არა ხაჯიმბას მოსკოვში მიმდინარე შეხვედრები?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის „საპრეზიდენტო“ არჩევნებამდე დაახლოებით სამი თვით ადრე არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა აფხაზეთის „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის“ ყოფილმა თავმჯდომარემ, ასტამურ თარბამ, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში საზოგადოებაში პრაქტიკულად არ გამოჩენილა.

რატომ გაუჩნდა „საპრეზიდენტო“ ამბიცია ხანგრძლივი პაუზის შემდეგ? ამ კითხვას პოლიტიკურ არენაზე ახლად მოვლენილი უშიშროების მუშაკი ასტამურ თარბა თავისებურ ახსნას უძებნის.

მისი განმარტებით, აფხაზეთის საზოგადოებას გაერთიანება სჭირდება, ამას ყველაზე კარგად ის ადამიანი შეძლებს, რომელიც არ შედის არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ გაერთიანებაში. იგი სწორედ ასეთია.

ასტამურ თარბა ირწმუნება, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში აფხაზეთიდან არ გასულა და კარგადაა ინფორმირებული რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე. ამ პერიოდში მას არაერთი ხელისუფლება სთავაზობდა თანამდებობას.

„პრეზიდენტობის“ პოტენციური კანდიდატი აღნიშნავს, რომ მოქმედი ხელისუფლების ნაბიჯებმა გამოიწვია უნდობლობა ხელისუფლების მიმართ და გააჩინა ბზარი საზოგადოებაში. საზოგადოებაში ერთსულოვნების მიღწევა შესაძლებელია, თუ ერთმანეთის მიმართ გაჩნდება ნდობა და პიროვნებები საკუთარ „მე“-ზე მაღლა დადგებიან.

„აბაზა ტვ-სთან“ ინტერვიუში თარბას მიერ გაკეთებულ ამ განაცხადს წინ უძღოდა ინტერნეტგამოცემა „ევრაზია დეილში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც დეფაქტო პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატებად დასახელებული არიან ასტამურ თარბა და ასლან ბჟანია. ეს უკანასკნელი სხვა წლებში ასევე ხელმძღვანელობდა უშიშროების სამსახურს.

ასლან ბჟანია ამჟამად აფხაზური პარლამენტის წევრია. ბოლო წლებში ის აქტიურ პოლიტიკაში რაულ ხაჯიმბას ოპოზიცია იყო. ორი წლის წინ, დეპუტატობამდე, ბჟანია სოჭში რუსეთის სამართალდამცავებმა დააკავეს. მაშინვე ყველამ ჩათვალა, რომ ეს ხაჯიმბას ჩარევით მოხდა. უდანაშაულო ბჟანია რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს.

„ევრაზია დეილის“ პროგნოზით, თარბა და ბჟანია არჩევნებში პირველ-მეორე ადგილებს გაინაწილებენ, მოქმედი პრეზიდენტი ხაჯიმბა კი მესამე ადგილზე გავა. ავტორის თქმით, ახლანდელი ოფიციალური სტრუქტურები და თანამდებობის პირები თარბას მისცემენ ხმას. მძლავრი ალიანსი იქმნება ასლან ბჟანიას გარშემო, ხაჯიმბას მხარეს კი უახლოესი გარემოცვის ზურგი და ადმინისტრაციული რესურსი იქნება.

სტატიაში საუბარია ხაჯიმბას კლებად რეიტინგზე, დანგრეულ მმართველობასა და აფხაზეთის ჩამოშლილ ეკონომიკაზე.

ამის პასუხად აფხაზეთზე ცრუ ინფორმაციის გავრცელებაზე ჯერ განგაში ატეხა ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ამ დღეებში კი – ეკონომიკის უწყებამ.

ხაჯიმბას ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს, რომ სტატიაში ეკონომიკაზე დაწერილი ფრაზები არგუმენტირებული არ არის. ეკონომიკაში პრობლემებზე, მათ შორის, სუბიექტურსა და ობიექტურზე, რაულ ხაჯიმბაც საუბრობს. ამასთან, მან ბევრი გააკეთა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის. წახალისებულია ექსპორტზე გასატანი პროდუქციის წარმოება. მთავრობას შემოაქვს მცირე და საშუალო ბიზნესის შეღავათიანი დაკრედიტება.

ხაჯიმბას არჩევნებზე კრემლის მხარდაჭერის იმედიც აქვს. მოსკოვში 31 მარტიდან 2 აპრილამდე მყოფი ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე წინასაარჩევნო მისიასაც ასრულებს.

მოსკოვი ოკუპირებულ რეგიონს ისევ ჰპირდება „საერთაშორისო პოზიციების“ გაძლიერებას.

ამას რუსეთი სოხუმის წარმომადგენლებთან ერთად ვენესუელიდანაც აკეთებს. მადუროს მომხრე აფხაზეთის ხელისუფლებას ვენესუელაში საელჩო აქვს გახსნილი. აფხაზეთის ფაქტობრივი ელჩი ზაურ გვაჯავა ვენესუელაში შეხვდა ნიკარაგუელ დიპლომატებს, რომლებთანაც განიხილებოდა ნიკარაგუის პრეზიდენტის, ორტეგას ვიზიტი აფხაზეთში.

აფხაზეთის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი გრიტანი ვენესუელის ელჩს იტალიაში ესაუბრა. მან აფხაზი ხალხის სახელით ვენესუელელებს მედიკამენტები უნდა გაუგზავნოს.

იენს სტოლტენბერგი: „ნატო საქართველოს მხარდაჭერას გააძლიერებს“

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური დირექტორი, იენს სტოლტენბერი იმ ღონისძიებებზე საუბრობს, რომელიც ამ კვირაში ნატო-ს დაფუძნების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვაშინგტონშია დაგეგმილი.

– ნატო საქართველოს მხარდაჭერას გააძლიერებს, – განაცხადა სტოლტენბერგმა და რუსეთის აგრესიაზე ისაუბრა

– ნატო შეშფოთებულია რუსეთის აგრესიული ქცევით, მათ შორის უკრაინის წინააღმდეგ, რაც ამ დრომდე გრძელდება, ასევე აზოვის ზღვაში უკრაინელი მეზღვაურებისა და გემების დაკავების გამო. ნატო-მ უკვე გააფართოვა წარმომადგენლობა შავ ზღვაში. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენს პარტნიორებთან რეგიონში. გასულ კვირას თავად გახლდით და ვიხილე „ნატო-საქართველოს სწავლება“. დღეს ნატო-ს გემები არიან უკრაინასა და საქართველოში. ეს გემები ჩაერთვებიან სწავლებაში სახელწოდებით „ზღვის ფარი“, რომელიც შავ ზღვაში გაიმართება. ველოდები, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნების მინისტრები შეათანხმებენ ახალ ზომებს და რეგიონში არსებული სიტუაციის შესახებ ჩვენ უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება. ასევე გაძლიერდება საქართველოს და უკრაინის მხარდაჭერა, ისეთ სფეროებში, როგორიცაა საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის სამსახურის წვრთნები, ვიზიტები პორტებში და სწავლებები, ასევე ინფორმაციის გაცვლა, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ოთარ კახიძე: „მმართველი პარტია ცდილობს, ჩინჩალაძის „კლანს“ გადაუფორმოს უზენაესი სასამართლო“

მმართველი პარტია ცდილობს, ჩინჩალაძის „კლანს“ გადაუფორმოს საბოლოოდ უზენაესი სასამართლო, რითაც უნდა სასამართლო რეფორმის რეალური პერსპექტივა მოკლას, – აღნიშნული შეფასება „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

კახიძის თქმით, „ევროპულმა საქართველომ“ კომისიის წევრებს საკუთარი ხედვები გააცნო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით შემუშავებულ კანონპროექტზე და იმედი აქვს, რომ კომისია მათ მოსაზრებებს გაითვალისწინებს.

– „ევროპულმა საქართველომ“ ვენეციის კომისიას გააცნო საკუთარი შეხედულება და მიმოიხილა დღეს ქვეყანაში არსებული ვითარება, რომ მმართველი პარტია ცდილობს ჩინჩალაძის „კლანს“ გადაუფორმოს საბოლოოდ უზენაესი სასამართლო, რითაც უნდა მოკლას პერსპექტივა რეალური სასამართლო რეფორმის. ჩვენ ავუხსენით, რომ ჩინჩალაძის „კლანი“ მთლიანად აკონტროლებს დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2/3 და, შესაბამისად, დაუშვებელია მათზე კანონპროექტების მორგება. ასევე, ვუთხარით ჩვენი შეთავაზება, რომ ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი შედგეს კანდიდატების ირგვლივ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ვენეციის კომისიის ექსპერტები, რა თქმა უნდა, გარდა სამართლებრივი მიმოხილვისა, აუცილებლად მიიღებენ მხედველობაში იმ კონტექსტს, რომელიც გვაქვს ქვეყანაში, – განაცხადა კახიძემ.

გამოხმაურება

გაზეთ „ახალი თაობის“ 2019 წლის 26 მარტის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ქვესათაურით „ბიძინა ივანიშვილს ორი გამოსავალი აქვს – ან უნდა წავიდეს, ან დაადგეს ერდოღანიზაციის გზას“, სადაც ლადო სადღობელაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას მასზედ, რომ თურქეთის პრეზიდენტმა, ბატონმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა „ძალაუფლება სწორედ მოსკოვის დახმარებით შეინარჩუნა“.

აღნიშნულ მოსაზრებას კავშირი არ აქვს რეალობასთან და წარმოადგენს უსაფუძვლო მსჯელობას.

პრეზიდენტი ერდოღანი ხელისუფლებაში მოვიდა თავისუფალი და დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების გზით, რომელიც თურქეთში ჩატარდა 2018 წლის 24 ივნისს, რა დროსაც მან არჩევნების პირველივე ტურში ხმათა 52.6%-ით გაიმარჯვა და არჩეულ იქნა პრეზიდენტად. ასევე, პრეზიდენტმა ერდოღანმა 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნები პირველივე ტურში მოიგო 51,8% ხმათა რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ერდოღანი სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის გენერალური თავმჯდომარეა, რომელიც დაარსებიდან, 2002 წლიდან, დღემდე მონაწილეობას იღებს არჩევნებში და მის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა ცნობილია.

აქედან გამომდინარე, მიუღებელია ისეთი ვარაუდები, თითქოს პრეზიდენტმა ერდოღანმა, რომელიმე ქვეყნის დახმარებით ან ამ ქვეყანასთან ურთიერთობების განვითარების გზით შეინარჩუნა ხელისუფლება.

საუკეთესო სურვილებით,
თურქეთის რესპუბლიკის საელჩო

ვახტანგ მაისაია: „ზელენსკიმ გამარჯვების შემდეგ შეიძლება თავისი პოლიტიკური კურსი შეცვალოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მოისკისა და ავაკოვის გაძლიერება. თუ, მაგალითად, პოროშენკო წარმოადგენდა დასავლეთის კლანს, დასავლეთის ოლიგარქიულ კლანს, ჩანაცვლდება აღმოსავლური დნეპროპეტროვსკული კლანით.

თუ ზელენსკი წავა სააკაშვილთან დიალოგზე, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ზელენსკი მზად არის რუსეთთან დიალოგი აწარმოოს. დღეს სააკაშვილთან დიალოგი ნიშნავს მოსკოვთან დიალოგის ელემენტების შექმნას.

– კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ვინ არის.

– არავინ, კორუფციამ ძალიან დიდ მასშტაბებს მიაღწია.

– ზელენსკი კორუფციის წინააღმდეგ არ იბრძოლებს?

– ზელენსკი არის ვირტუალური. ხალხი მისი მონაწილეობით ტელესერიალს უყურებს, რომ დაამარცხა კორუფცია. ეს არის ვირტუალური შემოქმედებითი მხარე.

– მთლად არ ჰგავს, მაგრამ მსახიობი იყო რეიგანიც, მაგრამ ამერიკას მშვენივრად მართავდა.

– რეიგანი სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ორჯერ იყო ამერიკის ერთ-ერთი შტატის გუბერნატორი ორი ვადით და მან დააგროვა კაპიტალი პრეზიდენტობისთვის. ორი განსხვავებული მომენტია, ზელენსკის საერთოდ არ გააჩნია პოლიტიკური გამოცდილება. ის არის, ფაქტობრივად, უცნობი ცხენი. მას კარგად მართავს ოლიგარქი კოლომოისკი. კოლომოისკი და ავაკოვი შეერთდებიან და ახალი გაერთიანება იქნება.

– შეიძლება ითქვას, რომ დასავლური ორიენტაცია, ევროატლანტიკური მისწრაფებები უკრაინაში დამარცხდა?

– არა, ამას ვერ ვიტყვი. ელექტორატის დონეზე ევროატლანტიკულმა კურსმა გაიმარჯვა. ზელენსკიც და პოროშენკოც ამბობს, რომ უკრაინა უნდა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა. ყოველ შემთხვევაში, ზელენსკი ჯერჯერობით ასე ამბობს. პოპულისტურია თუ არა მისი განცხადება, გამოჩნდება. ზელენსკი მუშაობს პოროშენკოს ხმებზეც და ასევე ცდილობს რაღაცნაირად რუსულ ხმებზეც იმუშაოს. ორივე ძალის შემკვრელია. სააკაშვილის მისამართით გაკეთებული განცხადებაც ამას გვიჩვენებს.

თუმცა, როცა მოვა ხელისუფლებაში, რას იზამს, არ ვიცით. ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაპირებები ბევრი გაუციათ, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მოსულან, მისი საპირისპირო ქმედებები განუხორციელებიათ. უკრაინაშიც იგივე ხდება. არ არის გამორიცხული, ზელენსკიმ გამარჯვების შემდეგ თავისი პოლიტიკური კურსი შეცვალოს.

– რა გავლენას იქონიებს უკრაინის არჩევნების შედეგები საქართველოსთან ურთიერთობებზე? უკრაინა და საქართველო ბოლო მომენტში მაინც ერთად აღიქმებოდა.

– ფორმალურად ასეა, თუმცა, უკრაინასთან ჩვენ არავითარი მჭიდრო კავშირები არ გვაქვს. ჩვენი ტელევიზიები უკრაინის არჩევნებს ნაკლებად აშუქებენ, როცა ჩვენს სტრატეგიულ ქვეყანაში ისტორიული პროცესია, უფრო მეტი ინტერესი და გაჩუქება უნდა იყოს. არც ხელისუფლებისა და არც ოპოზიციის დონეზე ინტერესი არ არის. ფორმალური მეგობრები ვართ.

– ეს სააკაშვილის „დამსახურებაა“.

– სააკაშვილის დამსახურებაც არის, მაგრამ ჩვენი ბრალიც არის. ხელისუფლებამ უკრაინასთან უნდა დაამყაროს გეოპოლიტიკური ხაზი.

– უკრაინა შავი ზღვის სახელმწიფოა და შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის მტრებიც გვყავს და მოწინააღმდეგეებიც..

– დიახ, ამიტომ შეიძლება უკრაინასთან დავამყაროთ ახლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები და დემოკრატიული საზოგადოების სუამის მოდელი ავაღორძინოთ. სამწუხაროდ, არანაირი ურთიერთობები არც ფორმალური და არც არაფორმალური ურთიერთობები უკრაინასთან არ გაგვაჩნია.

– მიუხედავად ამისა, პოროშენკოს შემთხვევაში მაინც გარკვეული იყო დამოკიდებულება.

– პოროშენკოს ჰქონდა ანტიკრემლისტური, ანტიკრემლისტური ნარატივი და პროპაგანდისტური მიმართულება, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა, ნატოში შესვლა იყო მისი მიზანი. ზელენსკიმ კი დააფიქსირა, ნატოში შესვლა აუცილებელიაო, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ეს იყოს პოლიტიკური ხრიკი და პოლიტტექნოლოგია. ზელენსკი როგორ პოლიტიკურ კურსს დაადგება ორი ოლიგარქის ავაკოვისა და კოლომოისკის გავლენით, ცალკე საუბრის თემაა. თუ ტიმოშენკო გახდა პრემიერ- მინისტრი, იქნება პრორუსული კურსით.

„მძღოლების გაბრაზება ჯობია რეგულაციებზე, ვიდრე პანაშვიდებზე სიარული“

შალვა ოგბაიძე: „ერთი ადამიანი მოვიდა და მეუბნება, მიშუამდგომლეთ, ერთსა და იმავე ადგილას 8 ჯარიმა მომივიდა სიჩქარის გადაჭარბებაზეო. შე, კაცო, ერთხელ მოგივიდა, ორჯერ, სამჯერ და რვაჯერ?!“

ნონა ცაბაძე



„ახალ თაობას“ თბილისის საკრებულოს დეპუტატი **შალვა ოგბაიძე** ესაუბრა.

– ბატონო შალვა, ახალ რეგულაციას საზოგადოების ნაწილში პროტესტი მოჰყვა. რას იტყვით თქვენ, რამდენად ეფექტური იქნება ეს ახალი ღონისძიება?

– მოდით შევთანხმდეთ ერთ რამეზე, ნარკოტიკი, ისევე, როგორც ალკოჰოლი, ისევე, როგორც გარკვეული რიგის მედიკამენტი, აქვეითებს კონცენტრაციას, ეს არის აქსიომა, რომელზეც ვერ ვიდავებთ. თუკი კონცენტრაციას აქვეითებს, რა მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო საშუალებასთან, როგორი ნარკოტიკის, მედიკამენტის ან ალკოჰოლის რომელი ზემოქმედების ქვეშ იქნები. ამიტომ ნარკოტიკი, ალკოჰოლი და გარკვეული ჩამონათვალი მედიკამენტებისა, არის შეუთავსებელი საჭესთან.

– ანუ აპროტესტებს ის, ვინც მოიხმარს ჩამოთვლილ საშუალებებს?

– დიახ, ასეა. პატიოსან მძღოლს რატომ უნდა გაუჩნდეს პროტესტი ასეთ რეგულაციაზე?! სკოლაში მასწავლებელი რომ გამოაცხადებდა, ხვალ საკონტროლოს დავწერთ მათემატიკაშიო, ეშინოდა და არ მოსწონდა იმას, ვინც მომზადებული არ იყო. იგივე სიტუაციაა აქაც. ჩვენ ამ ადამიანებს არ მივყვებით კლუბში, საძინებელში და იქ, სადაც ეს ადამიანები მოიხმარენ ნარკოტიკს. ეს მათი ნებაა. მე მომწონს, არ მომწონს, ეს მათი არჩევანია, მათი ნებაა. მე ჩემი ჩამოყალიბებული აზრი მაქვს, რომ ეს ცუდია, მაგრამ თუ მათ მოსწონთ, კი ბატონო, მათი ნებაა! მაგრამ მათი ნება მთავრდება იქ, სადაც ჩემი, თქვენი, თქვენი გაზეთის მკითხველის უსაფრთხოების საზღვრები შეიძლება შეილახოს!

– ანუ?

– როგორც კი ადამიანი, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, საჭესთან ჯდება თუ არა, იზრდება რისკი, მისი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში მოხვედრის. ანუ ავარიაში მოხვედრის, აი, აქ უნდა დამთავრდეს მისი თავისუფლების ხარისხის გამოხატვა. ცუდია, რომ მოიხმარენ, თუმცა ეს მათი ნებაა, მაგრამ ავტომობილი, რომელიც არის უკვე მომეტებული საფრთხის საგანი და დაქვეითებული კონცენტრაცია აქვეითებს მის რეაქციას, ნურავინ მეტყვის, რომ ნარკოტიკი და ალკოჰოლი არ აქვეითებს რეაქციას, ეს განცხადება უკვე ცდება ყველანაირ დემაგოგიის ზღვარს. როდესაც კონცენტრაცია უქვეითდება, კეთილი ინებოს, გააჩეროს ავტომობილი და ისარგებლოს სხვა საშუალებით.

– ძალიან მომატებულია ავტოსაგზაო შემთხვევები. უამრავი ადამიანი იღუპება.

– საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის წარმოშობას ბევრი მიზეზი აქვს. დაწყებული მცირეოდენი ინფრასტრუქტურული, ვთქვათ, არასწორად დასმული საგზაო ნიშანი, ან გაუმართავი ავტომობილი, ან მძღოლის დაბალი კვალიფიკაცია, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია გადაჭარბებული სიჩქარე და ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების ქვეშ მყოფი მძღოლები. თითოეული ავარია, პირდაპირ სარკეა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობის. მათ შორის იმ ადამიანების, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკებს. ამ ადამიანების რიცხვი საჭესთან დიდია და ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი.

– რა მეთოდები არსებობს ამის შესამცირებლად? ეს ტესტი დადებითად იმუშავებს?

– ამას 100%-ით ვერ აღმოფხვრის, მაგრამ ჩვენ გავეცანით იმ ქვეყნების მუშაობას, ვისაც ამ კუთხით დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, ეს არის ამერიკა, ევროპული ქვეყნები. მათ აქვთ ძალიან მკაცრი რეგულაციები, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი თუ დაჯდა საჭესთან. მაგალითად, გერმანიაში, მართვის მოწმობის ასაღებად ხელახლა მოგიწევთ გამოცდის ჩაბარება და ასევე აბარებენ ფსიქოლოგიურ ტესტს, რომელსაც იდიოტების ტესტი ჰქვია. გერმანიაში თვლიან, რომ ადამიანი, რომელიც ერთხელ დაიჭირეს საჭესთან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ორჯერ დაიჭირეს, მას რაღაც არაადეკვატურობის გამოკვეთილი ნიშნები აქვს და ამიტომ უწევს მას ამ კურსის გავლა. ასევე აქვთ ძალიან მკაცრი სასჯელი, ზემკაცრი, მართვის მოწმობის სამუდამო აკრძალვაც კი აქვთ გერმანიაში.

– ჩვენთან დაწესებულ სასჯელებზე რას იტყვით? ერთ წლამდე ციხეს ითვალისწინებსო და ამას აპროტესტებენ ყველაზე მეტად, რომ თუ წინა დღეს კანაფი მოვწიე და მეორე დღეს პატრულმა გამაჩერა და ტესტმა ამომიგდო ნარკოტიკი, ამისთვის რატომ უნდა დამპატიმრონო. ამაზე რით უპასუხებდით?

– პირველივე შემთხვევაზე პირდაპირ არ დააპატიმრებენ, ჯერ სხვა სანქციებია. ფულადი ჯარიმებია. დავუბრუნდები ზემოთ ნათქვამს, რომ ეს არის ადამიანის არაადეკვატურობის გამოვლინება. ერთხელ რომ დაგიჭერენ და დაგაჯარიმებენ, მეორედ მართვის მოწმობას ჩამოგართმევენ, მესამედაც იგივეს რომ გააკეთებ, რა არის ეს?!

– ასეთ ადამიანს ჯარიმაც ვერ უშველის?

– რომ ამბობენ ადამიანზე, რეციდივისტიაო, ეს მარტო ყაჩაღზე კი არ არის ნათქვამი, ეს არის ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე დანაშაულს ბევრჯერ ჩადის, ე.ი. ის გამოუსწორებელია და პრობლემა რეგულაციაში კი არ უნდა ეძებოს, პრობლემა საკუთარ თავში უნდა ეძებოს. ამიტომ რაღაცაზე უნდა შევთანხმდეთ. ამას წინათ ერთი ადამიანი მოვიდა და მეუბნება, მიშუამდგომლეთ, ერსა და იმავე ადგილას 8 ჯარიმა მომივიდა სიჩქარის გადაჭარბებაზეო. შე, კაცო, ერთხელ მოგივიდა, ორჯერ, სამჯერ და რვაჯერ?! თან, მით უმეტეს, არც იხდი ამ ჯარიმებს. მე სოციალურად დაუცველი ვარო. რა, სოციალურად დაუცველს ეპატიება დანაშაული?! მე ყველას ვურჩევ, რომ არ მოწიოს და თუ მაინც ეწევა, საჭე და ნარკოტიკი, საჭე და ალკოჰოლი, ეს შეუთავსებელია! ამიტომ რაღაცა ჩვენში შევცვალოთ. რეგულაციის მიზანი არის ის, რომ რაღაცა ქცევა შეიცვალოს. როდესაც არ არსებობს კეთილი ნება, მაშინ არსებობს ადმინისტრაციული სახრე.

– ანუ ამ კატეგორიის ხალხს ვერც ეს რეგულაციები და ჯარიმები უშველის?

– უნდა მოვსინჯოთ, რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ? ეს რეგულაციები ჩვენი მოგონილი არ რის, ეს არის მსოფლიო გამოცდილება და ჩვენ ავიღეთ გამოცდილი ქვეყნებისგან, რომლებსაც ეს პრობლემა აწუხებდათ და რეგულაციის ასეთი ფორმა აქვთ შემოღებული. ამ ნაწილში იქ უკვე საგრძნობლად შემცირებულია საჭესთან ჯდომის შემთხვევები. ამიტომ საზოგადოებამ ახლა ამ რეგულაციებს უნდა დაუცადოს. ერთი ის ვიცი ზუსტად, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რა ვქნათ, ვუყუროთ, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლები როგორ იღუპებიან და სხვასაც ღუპავენ? ეს ჩვენი მხრიდან დანაშაულის ტოლფასია. სჯობს გაბრაზდნენ ამ რეგულაციებზე და არა იმაზე, რომ მათ მოუწევთ მეგობრის პანაშვიდზე წასვლა, რომელიც ავარიაში დაიღუპა, ან მოუწევთ ციხეში მიკითხვა, რომელიც იმიტომ ზის, რომ ვერ გაუძლო ცდუნებას და ნარკოტიკის მოხმარების შემდეგ საჭეს მიუჯდა და მოინდომა შუმახერობა. ამიტომ რაღაცა კონსენსუსი უნდა შედგეს და სწორედ აქეთკენ არის მიმართული ეს ახალი რეგულაციები.

ეკონომიკა

ვის შეუძლია ეკონომიკის სამინისტროს ახალი პროგრამით სარგებლობა და ვინ რჩება მის მიღმა

– მთავარი შეფერხება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაკრედიტების უზრუნველყოფის ნაწილი იყო. საკრედიტო-საგარანტიო პროგრამა კი მეწარმეებს სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის, – ასე შეაფასა საკრედიტო-საგარანტიო პროგრამა მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ ჭელიძემ.

მისი განცხადებით, პროგრამა მეწარმეებს მნიშვნელოვნად დაეხმარება და მისი პლუსი არის ის, რომ ეს პროცესი გრძელვადიან დაკვირვებასაც ითვალისწინებს.

– საკრედიტო-საგარანტიო სქემის მიზანია, ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ). საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ანაზღაურდება ინდივიდუალური სესხის ძირი თანხის 70%-მდე, სქემის ფარგლებში გაცემული სესხების მთლიანი პორტფელის 15%-ის ლიმიტის ფარგლებში, – აცხადებს მიხეილ ჭელიძე.

– ვინ შეიძლება იყოს საკრედიტო საგარანტიო პროგრამის ბენეფიციარი?

– მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა კრიტერიუმები, რომლითაც ბენეფიციარს შეუძლია საკრედიტო საგარანტიო პროგრამით სარგებლობა.

დოკუმენტის მიხედვით, მეწარმე სუბიექტი, რომელიც იღებს სესხს კომერციული ბანკისგან ამ პროგრამის ფარგლებში, სესხის აღების მომენტისთვის შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბენეფიციარის საშუალო ბრუნვა 20 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს;

2. ბენეფიციარის სასესხო ვალდებულებები 8 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია, ისარგებლოს რამდენიმე სესხით, თუ გაცემული სესხების ჯამური მოცულობა არ აღემატება 2.000.000 ლარს.

„ამასთან, თანამსესხებლების მიერ სესხის აღების შემთხვევაში, მათ მიერ აღებული სესხების ჯამური ოდენობა (ცალ-ცალკე და ერთობლივად) არ უნდა აღემატებოდეს ორ მილიონ ლარს“.

პროგრამის ფარგლებში სესხების გაცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში მოხდება.

კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა 50.000 ლარით, მაქსიმალური კი – 2.000.000 ლარით განისაზღვრა.

– ვინ ვერ იქნება საკრედიტო საგარანტიო პროგრამის ბენეფიციარი?

– მექანიზმით სარგებლობას ვერ შეძლებენ ის მეწარმე სუბიექტები, რომლებმაც ამ სქემის ფარგლებში ერთხელ უკვე განიცადეს დეფოლტი ან დაარღვიეს ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობები;

რომლებმაც სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ პირობები დაარღვიეს;

სესხის გაცემის მომენტისთვის, სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება აქვთ.

პროგრამის ფარგლებში სესხის აღების უფლება არც მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ სუბიექტებს ექნებათ.

ამასთან, საკრედიტო გარანტია არ გაიცემა იმ სესხებთან დაკავშირებით, რომელთა მსესხებელს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც საჯარო სამართლის იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს 10 პროცენტზე მეტ წილს, აქციას ან და სესხის გაცემის მომენტისთვის მონაწილეობს საწარმოს მართვაში.

– კანონი ადგენს იმასაც, ვინ ვერ მიიღებს ასეთ გარანტიას.

1. სუბიექტი, რომლის ბოლო 3 წლის ბრუნვა 20 მილიონზე მეტია;

2. სუბიექტი, რომლის სესხების ჯამი 8 მილიონზე მეტია;

3. სუბიექტი, რომელშიც სახელმწიფოს წილი 10 პროცენტზე მეტია;

4. სუბიექტი, რომელმაც უკვე განიცადა დეფოლტი, ან დაარღვია „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის პირობები;

5. სუბიექტი, რომელსაც სახელმწიფოს მიმართ აქვს ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება;

6. სუბიექტი, რომელიც რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში;

7. პირი, რომელიც იმავე სესხზე სხვა საგარანტიო სქემით სარგებლობს;

8. საკრედიტო გარანტია არ გაიცემა, თუ სუბიექტი სარგებლობს შეღავათიანი აგროკრედიტით ან ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტით.

საკრედიტო-საგარანტიო სქემა მთელ მსოფლიოში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს საკრედიტო საგარანტიო სქემა ემყარება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს. სქემის დიზაინის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები.

ამასთანავე მმართველობის ხარისხის გასაძლიერებლად შეიქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო საგარანტიო სქემის ზედამხედველობას და შედეგების მონიტორინგს.

საკრედიტო-საგარანტიო ფონდისთვის 2019-2023 წლებში ყოველწლიურად, ბიუჯეტიდან 20 მლნ ლარი გამოიყოფა.

კაკულია ქობულიას მიმართავს — ჩვენ შიდა კონსულტაციებზე ბევრ რამეზე შევთანხმდით, რომელიც დროში ძალიან იწელება

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია ეკონომიკის მინისტრს გიორგი ქობულიას მიმართავს და მოუწოდებს, ანტიდემპინგური კანონმდებლობა შეპირებულ ვადებში წარადგინოს.

– ეკონომიკის მინისტრს მინდა მივმართო, ჩვენ შიდაკონსულტაციების შედეგად ბევრ რამეზე შევთანხმდით, რომელიც შემდეგ დროში ძალიან იწელება. მაგალითად, დემპინგთან დაკავშირებული კანონმდებლობა. მეჩვენება, რომ ხდება ამ თემის გაჭიანურება. თუ კონსულტაციებისა და სემინარების საშუალებით უნდათ ჩამოაყალიბონ ის მოსაზრება, რომ ეს კანონმდებლობა ფართო აღიარებული მხარდაჭერის გამო არ არის მისაღები, მე ამას არ დავეთანხმები. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში არავის არ სჭირდება იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინვესტორს ჩვენი ქვეყნისთვის.

გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა ანტიდემპინგურ კანონმდებლობას. პირადი საუბრების მიუხედავად, ეს საკითხი ძალიან გაიწელა და ამიტომ გადავწყვიტე კომიტეტის ტრიბუნიდან მივმართო, რომ თუ შეიძლება, თქვენი დაპირება ანტიდემპინგურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით შეპირებულ ვადაში შემოიტანეთ, – განაცხადა რომან კაკულიამ.

აღნიშნული განცხადება რომან კაკულიამ კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, მიუხედავად პირადი საუბრებისა და გარკვეული შეთანხმებებისა, ანტიდემპინგურ კანონმდებლობაზე მუშაობა მაინც ჭიანურდება.

კომერსანტი

2018 წელს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 3 მილიარდი ლარით გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2018 წელს ქვეყნის მთლიანმა საგარეო ვალმა 17.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წლის მეოთხე კვარტალში მთლიანი საგარეო ვალი 533.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა 2018 წელს 19.9 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 45.8%-ია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფოს საგარეო ვალი თითქმის 114%-ით გაიზარდა.

სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები წლების მიხედვით:

2013 – 9.3 მილიარდი ლარი, მშპ-ის 34.7%
2014 – 10.4 მილიარდი ლარი, მშპ-ის 35.6%
2015 – 13.2 მილიარდი ლარი, მშპ-ის 41.4%
2016 – 15.1 მილიარდი ლარი, მშპ-ის 44.4%
2017 – 16.9 მილიარდი ლარი, მშპ-ის 44.6%
2018 – 19.9 მილიარდი ლარი, მშპ-ის 45.8%

საქართველოში მოქმედებს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც, მშპ-სთან მიმართებით ვალმა 60%-ს არ უნდა გადააჭარბოს, ეს კი ნიშნავს, რომ მთავრობას მომდევნო წლების განმავლობაში თავისუფლად შეუძლია დამატებითი ვალების აღება.

ვაკეში მიწის ჩამოშლას 2 მუშის სიცოცხლე შეეწირა

31 მარტს ჭავჭავაძის გამზირზე მშენებლობის დროს მიწის ჩამოშლას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

უმძიმესი ტრაგედიის შედეგად დაღუპულ მუშებს მაშველები რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდნენ.

თავიდან მათ 25 წლის დავით აბესაძის ცხედარს მიაგნეს, რამდენიმე საათის ძიების შემდეგ კი 41 წლის ედუარდ დავრიშევი ამოასვენეს.

უბედური შემთხვევა დღის ბოლოს ყოფილი ლეჩკომბინატის ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ახალი კლინიკის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

მიწა შენობის საძირკვლის გამაგრების დროს ჩამოიშალა და ორი მუშა ჩაიყოლა. მერიაში განმარტავენ, რომ კომპანია „ტრანსმშენი“, რომელიც ადგილზე სამუშაოებს აწარმოებს, ერთი კვირის წინ შემოწმდა და ყველაფერი წესრიგში იყო.

„ტრანსმშენის“ განცხადებაში წერია, რომ აღნიშნულ სამუშაოებს ქვეკონტრაქტორი კომპანია ახორციელებდა და დაღუპული მუშებიც სწორედ მათთან იყვნენ დასაქმებულები.

– კუსტარული მანქანა-დანადგარები და დაუცველი ღიობები არსებობდა, რომელიც ერთი შეხედვით თვალსაჩინო იყო, – განაცხადა შრომითი პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სამსახურის უფროსმა, ბექა გერაძემ.

ბექა გერაძის თქმით, ამ ეტაპზე მიწის ჩამოშლის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, გარკვეული დარღვევები პირველადი დათვალიერების დროს უკვე დააფიქსირეს.

– დეტალურად ალბათ, დღის ბოლოს ან უახლოეს პერიოდში გვექნება შესაძლებლობა, რომ კონკრეტულად, უშუალო და სისტემურ მიზეზებზე ვისაუბროთ, რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა, – განაცხადა ბექა გერაძემ.

ინსპექტირების ჯგუფის წარმომადგენლების თქმით, პირველადი დათვალიერების დროს გარკვეული დარღვევები გამოიკვეთა, თუმცა, უნდა დაზუსტდეს რამდენად სწორად იყო სამუშაოები დაპროექტებული.

მათივე თქმით, ამის გარკვევის შემდეგ კი დადგინდება, ვის მიერ იყო შეცდომა დაშვებული – შემსრულებლის თუ დამკვეთის.

გუშინ, 1 აპრილს, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში „ხიმინჯ სერვის 2“-ის დირექტორი ოთარ ცნობილაძე დაიკითხა.

სწორედ ეს კომპანია ასრულებდა სამუშაოებს უბედური შემთხვევის ადგილზე და ორივე გარდაცვლილი სწორედ „ხიმინჯ სერვის 2“-ის თანამშრომელი იყო.

ოთარ ცნობილაძე ამბობს, რომ უსაფრთხოების ნორმები მშენებლობაზე დაცული იყო.

– პირველი შემთხვევა იყო ეს, უსაფრთხოება დაცული იყო, ყველაფერი და იყო უბედური შემთხვევა. წუხელაც ვიყავი, ახლაც მივდივარ დაკითხვაზე, – ამბობს ცნობილაძე.

„ხიმინჯ სერვის 2“ ინსპექტირების წარმომადგენლებმა გუშინ დააჯარიმეს იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა გავლილი რეგისტრაცია საფრთხის შემცველ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ჯარიმა 1.000 ლარს შეადგენს.

კომპანიის წარმომადგენლები აკრიტიკებენ დამქირავებელ კომპანია „ტრანსმშენს“, რომელმაც მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებაზე სრული პასუხისმგებლობა მათ დააკისრა.

ვაკეში მომხდარ ტრაგედიას უბედურ შემთხვევად მოიხსენიებს ადვოკატი გიორგი ყიფშიძეც.

მისი თქმით, შემთხვევის დღეს სამუშაოები დასრულებული იყო, თუმცა, არსებულმა გამაგრებამ მიწის დაწოლილ მასას ვერ გაუძლო.

– წინასწარი ვერსიით, ეს იყო უბედური შემთხვევა, რა თქმა უნდა, ცალსახად. არსებულმა გამაგრებამ ვერ გაუძლო დაწოლილ მასას მიწისას და მოხდა ასეთი რამ, სამწუხაროდ, უკვე დასრულებულ იმ დღის სამუშაოებზე.

ხელშეკრულების მიხედვით, მომუშავე პერსონალზე მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ზრუნვა ევალებოდა „ხიმინჯ სერვის 2“-ს, ამის უარყოფა იქნება ალბათ არასწორი. სავალდებულოა საქართველოში იმ სამუშაოების ჩამტარებელი კომპანიის მიერ რეგისტრაცია, რომელიც შეიცავს ადამიანისთვის სიცოცხლის საფრთხეს და ეს რეგისტრაცია კომპანიას სამწუხაროდ გავლილი არ ჰქონდა, – განაცხადა გიორგი ყიფშიძემ.

ყიფშიძე ვარაუდობს, რომ აღნიშნულ საქმეში ბრალეულობის გამოკვეთის შემდეგ კონკრეტული პირები პასუხისგებაში მიეცემიან.

– ამ ტიპის უბედური შემთხვევების დროს თუ რაიმე ტიპის დაუდევრობაა, ეს უნდა თქვას ექსპერტიზამ. მხოლოდ ამის შემდეგ, სავარაუდოდ, უკვე პროკურატურა მიიღებს გადაწყვეტილებას, მისცეს ვინმე პასუხისგებაში თუ არ მისცეს, მაგრამ არა მგონია, მთლად ასე ჩაიაროს ამ საქმემ, რომ ვინმე არ იქნეს მიცემული პასუხისგებაში. ეს ცალსახა თავის მოტყუება იქნება, რომ სხვანაირად ვიმსჯელოთ, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატი პაპოშვილი: „იაგო ნებიერიძის დანაშაულში მხილების მტკიცებულება არ მომისმენია“

– პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც იაგო ნებიერიძეს დანაშაულში ამხელს, არ მომისმენია. დაკითხულ მოწმეებს ის უარყოფითად არ დაუხასიათებიათ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ იაგო ნებიერიძის ადვოკატმა, მარიამ პაპოშვილმა განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, გუშინ, 1 აპრილს, დაკითხულ მოწმეებს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე არ უსაუბრიათ.

– დღეს დაიკითხა ოთხი მოწმე. ეს ის მოწმეები იყვნენ, რომლებიც იაგო ნებიერიძესთან ერთად მშენებლობაზე მუშაობდნენ. მათი დაკითხვიდან მხოლოდ ის ფაქტი ჩანს, რომ ერთად მუშაობდნენ და ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაში არ იყვნენ. მათგან საქმისთვის სამართლებრივად რაიმე მნიშვნელოვანი ვერ მოვისმინე.

როცა ფაქტი მოხდა, ამბობენ, რომ იმ დღეს ყველანი ისვენებდნენ, მეტს არაფერს ამბობენ. რამე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ნებიერიძეს დანაშაულში ამხელს, არ მომისმენია. ის უარყოფითად არ დაუხასიათებიათ, ამბობენ, რომ ჩვეულებრივად მუშაობდა.

დაცვის მხარეს მოწმეები არ ჰყავს, საჭიროდ არ ჩაუთვლია ჩემ კლიენტს მიეთითებინა ვინმე, ვინც ჩვენებას მისცემდა, – განაცხადა პაპოშვილმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 4 აპრილს, 12:00 საათზე დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

იაგო ნებიერიძეს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას.

ნებიერიძეს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

„დირსის“ კორპუსებში 150 დევნილია შეჭრილი

უსაფრთხოებას პოლიცია იცავს

საცხოვრებელ კომპლექს „დირსიში“ ადგილზე უსაფრთხოებას და მართლწესრიგს პოლიცია უზრუნველყოფს.

ამის შესახებ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვაჟა სირაძემ განაცხადა.

– როგორც მოგეხსენებათ, საცხოვრებელ კომპლექს „დირსის“ კორპუსების რამდენიმე სადარბაზოში შეჭრილია 150-მდე დევნილი. ადგილზე მობილიზებულები არიან საპოლიციო დანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორივე მხარის უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას, რათა არ მოხდეს მხარეებს შორის რაიმე სახის კონფლიქტი ან დაპირისპირება.

ნებისმიერ პირს აქვს საშუალება, მიიღოს საკვებიც და სასმელი წყალიც და რაც საპოლიციო დანაყოფებმაც არაერთხელ მიაწოდეს. ამ ეტაპისთვის ჩვენ მობილიზებულები ვართ იმისთვის, რომ ადგილზე დავიცვათ მართლწესრიგი და უსაფრთხოება, ამის გარდა, პოლიციას სხვა დავალება არ გააჩნია, – განაცხადა ვაჟა სირაძემ.

16 წლის გორელი გოგონა, რომელიც 40 დღე კომაში იყო, გარდაიცვალა

16 წლის მოზარდი, რომელმაც 19 თებერვალს გორში თვითმკვლელობა სცადა, 30 მარტს გვიან ღამით, სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

ახალგაზრდა გოგონა კომატოზურ მდგომარეობაში, მართვით სუნთქვაზე დაახლოებით 40 დღის განმავლობაში იმყოფებოდა.

– გოგონას გული გაუჩერდა, ის წუხელ პირველ საათსა და თხუთმეტ წუთზე გარდაიცვალა, – განუცხადეს „პრაიმტაიმს“ სამხედრო ჰოსპიტალში.

19 თებერვალს, გორში, 16 წლის მოზარდმა თვითმკვლელობა სცადა. გოგონას მეზობლების ინფორმაციით, მოზარდი დედამ საკუთარ ოთახში ხალათის ქამრით დაკიდებული იპოვა.

ახალგაზრდა გოგონა უმძიმეს მდგომარეობაში გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ექიმების მცდელობის მიუხედავად, 16 წლის მოზარდის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ქუთაისის აეროპორტში სამართალდარღვევები გამოვლინდა

„30 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის მ.კ.-ს კუთვნილი ხელჩანთების დათვალიერებისას, ნარკოტიკული ნივთიერება კანაფის ფისი (წონა 7.68 გრამი) და 3885 ლარის ღირებულების ოქროს მონეტა (წონა 41.70 გრამი) გამოავლინეს.

კანაფის ფისი და საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. ხოლო, არადეკლარირებულ ოქროს მონეტაზე, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 3885 ლარის ოდენობით შეეფარდა“ – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

წითელ ხიდზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

წითელ ხიდზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

„28 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 1,000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და სანქციის სახით, თითოეულს, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ“ – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თენგიზ ქობალია და ხუტა ბაღათურია გირაოთი გამოუშვეს

ზუგდიდის მერ ლაშა გოგიასთან და ვიცე-მერ გია გულორდავასთან ერთად დაკავებულ ორ პირს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა და დარბაზიდან გაათავისუფლა.

თენგიზ ქობალიას 10.000-ლარიანი გირაო შეუფარდეს.

ხუტა ბაღათურიას, რომელსაც ცრუ ჩვენების მიცემას ედავებიან, 5.000-ლარიანი გირაოს გადახდა მოუწევს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ზელენსკი თუ პოროშენკო

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იქნება

31 მარტს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. გამართლდა მეორე პროგნოზიც: ყველაზე მეტი ხმა შოუმენმა ვლადიმერ ზელენსკიმ დააგროვა. მან 30,4 % მიიღო. მეორე ადგილისთვის იულია ტიმოშენკოსა და პეტრო პოროშენკოს შორის გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. პოროშენკოს 18,4% აქვს, ტიმოშენკოს – 14,2%. შესაბამისად, მეორე ტურში პოროშენკო გავიდა.

პრორუსული ორიენტაციის კანდიდატმა ბოიკომ მეორე ტურში გასვლა ვერ შეძლო. მისი მხარდაჭერა 8–10%-ს შორს მერყეობს.

ბევრისთვის მოულოდნელობა იყო უშიშროებისა და სამხედრო დაზვერვის ექს– შეფის, გენერალ იგორ სმეშკოს წარმატება. მან 6,7% დააგროვა და მეექვსე ადგილზე გავიდა. ამით გენერალი უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში დამკვიდრდა. სმეშკო მტკიცე პატრიოტული პროდასავლური ორიენტაციისაა, კატეგორიულად ილაშქრებს ოლიგარქების და კორუფციის წინააღმდეგ, მოითხოვს ხელისუფლებაში პროფესიონალების მოსვლას.

– პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მეორე ტურში ერთმანეთს პეტრო პოროშენკო და ვლადიმერ ზელენსკი დაუპირისპირდებიან, – ასეთია უკრაინის ცესკოს განცხადება.

მეორე ტური 21 აპრილს გაიმართება.

ზუზანა ჩეპუტოვა სლოვაკეთის პრეზიდენტად აირჩიეს

სლოვაკეთის პრეზიდენტად ზუზანა ჩეპუტოვა აირჩიეს. ის პირველი ქალია, რომელიც ამ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

ჩეპუტოვა 1973 წელს დაიბადა. დაამთავრა ბრატისლავის უნივერსიტეტი. პროფესიით იურისტია. ჰყავს ორი შვილი. მეუღლეს გაშორდა და შვილებიც მარტომ აღზარდა.

ჩეპუტოვა კარგა ხანს ცნობილი იყო არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც გარემოს დაცვისათვის მებრძოლი. სახელი მან ბრატისლავის ნაგავსაყრელის გადატანისთვის გამართული აქციით გაითქვა. ამის შემდეგ გამოიკვეთა როგორც კორუფციასთან მებრძოლი. მან არაერთი თანამდებობის პირი ამხილა, რამაც მამაცი, პრინციპული მოღვაწის სახელი მოუტანა. პოლიტიკაშიც ამის შემდეგ მოვიდა.

მისი გამარჯვება ორმა ფაქტორმა უზრუნველყო. პირველი და უმთავრესი ის იყო, რომ მმართველი პარტიის პოპულარობა მკვეთრად დაეცა. ეს განსაკუთრებით ჟურნალისტ იან მაციაკის მკვლელობის შემდეგ მოხდა. სიტყვები „სლოვაკეთს მაფია მართავს“ უკვე შოკს აღარ იწვევდა. ახლა აქტუალური იყო ის, თუ როგორ დაეღწიათ თავი ამ მაფიისგან. ჩეპუტოვამ მოქალაქეებს უბრალო, გასაგები რეცეპტი შესთავაზა: ამირჩიეთ და მაფიისგან თავს დააღწევთ. ჩეპუტოვას გარშემო მთელი ლიბერალური კოალიცია შემოიკრიბა. ამან შედეგი გამოიღო. ქალმა არჩევნებში გაიმარჯვა.

აღმოსავლეთ ევროპაში უკანასკნელ ხანს პოპულისტების ბუმია. ზემანის გამარჯვება ჩეხეთში, ორბანის უნგრეთში. ჩეპუტოვას გამარჯვების შემდეგ სლოვაკეთზე ამისი თქმა აღარ შეიძლება. ამ ქალის სახით პრეზიდენტად აირჩიეს მამაცი და პრინციპული მოღვაწე, მკვეთრად ჩამოყალიბებული ლიბერალური იდეოლოგიით.

– ჩემი ორიენტაცია მტკიცეა: ესაა ევროპა თავისი ღირებულებებით, – ამბობს ჩეპუტოვა.

სლოვაკეთის პრეზიდენტს დიდი უფლებები არ აქვს, მაგრამ შეუძლია კანონებს ვეტო დაადოს და ა.შ. ჩეპუტოვაც სლოვაკეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდავოდ დიდ გავლენას მოახდენს.

ერდოღანმა თურქეთის დიდ ქალაქებში არჩევნები წააგო

თურქეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. ფსონი ძალზე დიდი იყო. მიმდინარეობდა ბრძოლა როგორც დედაქალაქზე (ანკარა), აგრეთვე სტამბულზე კონტროლისთვის.

ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია მმართველ პარტიას უდიდეს პრობლემებს უქმნის. ამიტომ თურქეთის მმართველმა პარტიამ დიდი ქალაქები წააგო.

სტამბოლში რესპუბლიკური სახალხო პარტიის კანდიდატმა ერკემ იმამოღლუმ 48.79% მოაგროვა, მმართველი პარტიის კანდიდატმა ბინალი ილდირიმმა კი – 48.51%.

დედაქალაქ ანკარაშიც ოპოზიციამ გაიმარჯვა, რესპუბლიკური სახალხო პარტიის კანდიდატმა მანსურ იავაშმა 50.9% აიღო, მეჰმეთ ოზჰასეკმა კი – 47.1%.

ოპოზიციამ გამარჯვება მოიპოვა მოსახლეობის მიხედვით მესამე ქალაქ იზმირში. რესპუბლიკური სახალხო პარტიის კანდიდატმა მუსტაფა ტუნჩ სოიერმა 58.06% მოაგროვა. მმართველი პარტიის კანდიდატმა ნიჰათ ზეიბექჯიმ – 38.67%.

ასევე ოპოზიციის კანდიდატებმა გაიმარჯვეს საქართველოს საზღვრის მიმდებარე ართვინისა და არდანის პროვინციებში და ხმელთაშუა ზღვისპირა პროვინციებში.

მთლიანობაში ამომრჩეველთა 51.63%-მა სახალხო ალიანსს დაუჭირა მხარი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ და „ეროვნული მოძრაობის პარტია“. 37.55% მიიღო ეროვნულმა ალიანსმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის მთავარი ოპოზიცია „რესპუბლიკური სახალხო პარტია“ და „კარგი პარტია“.

სროლა კარაკასში

ვენესუელაში მორიგი ენერგოკრიზისია. დედაქალაქ კარაკასში, აგრეთვე სხვაგან, სინათლე გამოირთო. მორიგი საპროტესტო აქციებიც სრული წყვდიადის ფონზე გაიმართა.

კარაკასის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა.

– ძირს მადურო! ძირს დიქტატორი! – სკანდირებდნენ ისინი.

დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა, მაგრამ დემონსტრანტების დაშლა მაინც ვერ შეძლო. ანაზდად უცნობმა პირებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს.

– ისინი მადუროს უშიშროების სამსახურის აგენტები იყვნენ, – ამტკიცებდნენ დემონსტრანტები.

სროლის შედეგად ორი მანიფესტანტი დაიჭრა. ისინი ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთი: „ყირიმის შემოერთებამ პრობლემები მოგვიმატა“

თანახმად ლევადა-ცენტრის ინფორმაციისა, რუსების 39% მიიჩნევს, რომ ყირიმის ანექსიით ქვეყანამ არავითარი სარგებელი არ მიიღო. თუ 2017 წელს ყირიმის შემოერთებას რუსეთის მოქალაქეთა 70% მიესალმებოდა, ახლა 39% მიიჩნევს, რომ ამით მხოლოდ პრობლემები მოემატათ.

ამავე დროს, რუსეთის მოქალაქეთა 77% თვლის, რომ რუსეთს უნდა შეუერთდეს დონბასი, აგრეთვე უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონები.

– ამის გარეშე ყირიმის შეერთებას აზრი არ აქვს. თუ ნოვოროსია ვერ შეიქმნა, სჯობს, ყირიმი ისევ უკრაინას დავუბრუნოთ! – აცხადებენ რუსები.

პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი კი ვარდნას განაგრძობს. თუ ერთი თვის წინ მას მხარს 30% უჭერდა, ახლა ეს მაჩვენებელი 27%-მდე დაეცა.

პუტინის ალტერნატივად რუსებს სტალინის ტიპის მოღვაწე მიაჩნიათ. თანახმად გამოკითხვებისა, სტალინს დიდ რუს მოღვაწედ უკვე 78,6% მიიჩნევს.

ქალეიდოსკოპი

მეგან მარკლი კიდევ ერთი ტრადიციის დარღვევას აპირებს

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი არ აპირებს იმავე ადგილას იმშობიაროს, სადაც კეიტ მიდლტონმა და პრინცესა დიანამ იმშობიარეს.

აღსანიშნავია, რომ კეიტმაც და დიანამაც წმინდა მარიამის საავადმყოფოს ლინდოს განყოფილებაში იმშობიარეს. თუმცა მეგან მარკლმა გადაწყვიტა, არ მიყვეს თავისი წინამორბედების გზას და ამიტომ მან და პრინცმა ჰარიმ მათ სახლთან ახლოს მყოფ სამშობიარო განყოფილებაზე შეაჩერეს საკუთარი არჩევანი.

– ჰარის და მეგანს ესმით, რომ მათი ბავშვის დაბადება დიდ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. თუმცა ის ტახტის პირდაპირ მემკვიდრეს არ წარმოადგენს, ამიტომ მათ სურთ, რომ მშობიარობამ უფრო მეტად უბრალოდ ჩაიაროს, – წერს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა. გარდა ამისა, მარკლის ასაკის გამო შესაძლოა გარკვეული გართულებები წარმოიშვას და ამიტომ მას სურს, რომ მშობიარობამ ბუნებრივად, ზედმეტი ყურადღების გარეშე ჩაიაროს.

კენგურუ ბარს ესტუმრა

ავსტრალიის ქალაქ პერტში თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო უჩვეულო შემთხვევა, როდესაც ბარში კენგურუ შევიდა, როგორც ჩანს, ცხოველი სიცხემ შეაწუხა და კონდიციონერით გაგრილებულმა შენობამ ამიტომ დააინტერესა.

რა თქმა უნდა, ბარებში მრავალნაირ სტუმარს შეხვდებით, მაგრამ ეს სტუმარი ყველა იქ მყოფისთვის ნამდვილ სიურპრიზად იქცა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კენგურუ შიგნით არც ისე დიდხანს შეყოვნებულა. სავარაუდოდ, ის იქ ადამიანების სიმრავლემ შეაცბუნა. ასე რომ, მან ხტუნვა-ხტუნვით შემოიარა დაწესებულების დარბაზები, თავისთვის მყუდრო ადგილს ვერ მიაგნო და მალევე დატოვა ბარი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბასილაშვილი მე-17 ადგილზეა

ვაჟ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი 2 პოზიციით დაწინაურდა და სიის მე-17 ადგილზე იმყოფება.

საქართველოს პირველი ჩოგანის ანგარიშზე 1.930 სარეიტინგო ქულაა და იტალიელ ჩოგბურთელებს, მარიო ჩეკინატოსა (2.021 ქულა) და ფაბიო ფონინის (1.885) შორისაა მოქცეული.

რაც შეეხება ათეულს: მაიამის მასტერსის გამარჯვებული როჯერ ფედერერი მე-4 ადგილზე გადავიდა. ათეულში 2 პოზიციით სტეფანოს ციციპასი დაწინაურდა და მე-8 პოზიციაზეა.

ატპ-ს განახლებული რეიტინგის ათეული ასეთია:

1.ნოვაკ ჯოკოვიჩი – 11.070 ქულა; 2.რაფაელ ნადალი – 8.725; 3.ალექსანდრ ზვერევი – 6.040; 4.როჯერ ფედერერი – 5.590; 5.დომინიკ ტიმი – 4.765; 6.კეი ნიშიკორი – 4.200; 7.კევინ ანდერსონი – 4.115; 8.სტეფანოს ციციპასი – 3.240; 9.ხუან მარტინ დელ პოტრო – 3.225; 10.ჯონ იზნერი – 3.085.

ჯიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის გრან პრი 10 მედლით დაასრულა

საქართველოს ჯიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის გრან პრიზე 10 მედალი მოიპოვა და მამაკაცთა და ქალთა საერთო გუნდურ ჩათვლაში 52 ქვეყნის ნაკრებს შორის მხოლოდ საფრანგეთს ჩამორჩა. მამაკაცებში კი, საქართველოს ნაკრებმა 44 ქვეყნის ნაკრებს შორის პირველი ადგილი დაიკავა, 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედლით.

გრან პრის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეულმა ჩხვიმიანმა პირველობა არავის დაუთმო და თბილისის გრან პრი კარიერაში მესამედ მოიგო. ლუხუმმა ფინალამდე 3 მეტოქე ჩამოიცილა. ქართველმა ჯიუდოისტმა ყაზახ ჟაკიბეკ ჟენისბეკსა და ბრაზილიელ ფელიპე კიტადაის დამატებით დროებში აჯობა, ნახევარფინალში კი მონღოლი ბოლდბაატარ განბატი დაიპონა. გადამწყვეტ შერკინებაში ლუხუმის მეტოქე ფრანგი ვალიდ ხიარი იყო, რომელსაც ჩვენებურმა ვაზარით სძლია.

ოქროს მედალი ირგუნა ლევან მატიაშვილმაც (+100 კგ). 25 წლის მძიმეწონოსანმა ფინალის გზაზე ამერიკელი აჯექს ტადეჰირა და ორი თანამემამულე – ადამ ოქრუაშვილი და გელა ზაალიშვილი დაამარცხა. საჩემპიონო ბრძოლაში კი ბელარუს ალექსანდრ ვახავიაკს აჯობა.

66 კგ-მდე წონით კატეგორიაში სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა გიორგი თუთაშვილმა, რომელიც აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ძიუდოისტი გახლდათ, თუმცა, მისთვის პირველივე საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლის მედლის მოპოვება მოახერხა.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო 20 წლის თუთაშვილის ვერცხლის მედალი. გიორგიმ პორტუგალიელი სერჟიუ ოლეინიკი, აზერბაიჯანელი ილკინ ბაბაზადა და მონღოლი ალტანსუხ დოვდონი ვაზარით დაჯაბნა, ნახევარფინალში კი ინდოელ სინგჰ იასლეენ საინის დამატებით დროში მოუგო. ფინალში ქართველი ძიუდოისტის მეტოქე ისრაელის ნაკრების გამოცდილი წევრი ტალ ფლიკერი იყო, რომელთანაც ვერაფერი გააწყო და ვაზარით დამარცხდა.

ფინალამდე მივიდა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გიორგი პაპუნაშვილიც, მაგრამ უმაღლეს ტიტულამდე ბრაზილიელი ივან სილვა მორალეშის ძლევა დააკლდა. გადამწყვეტ შეხვედრამდე პაპუნაშვილმა 4 მეტოქე ჩამოიშორა და ოთხივე იპონით. მათ შორის ევროპის 2017 წლის ჩემპიონი სერბი ალექსანდარ კუკოლი და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს ტურში შემავალი სუპერტურნირების 8-გზის ჩემპიონი ბექა ღვინიაშვილი.

თბილისის გრან პრიზე ბრინჯაოს მედლები ირგუნეს ჯაბა პაპინაშვილმა (60 კგ), ბაგრატ ნინიაშვილმა (66 კგ), ვალერი იაშვილმა (73 კგ), ტატო გრიგალაშვილმა (81 კგ), ღვინიაშვილმა და ონისე ბუღაძემ (+100 კგ).

დინამომ დერბიში ისევ მოიგო

დინამო (თბ)-საბურთალო 4:2
თბილისი. დინამო არენა

0:1 დვალიშვილი (4), 1:1 კუტალია (20), 1:2 კოხრეიძე (24პ), 2:2, 3:2 კუტალია (45პ, 80), 4:2 კარბია (90)

დინამო: პერალესი, რუხაია, მეჯუბი, მონხილი, იაშვილი, ივანისენია (ქარდავა 64), პაპავა, შენგელია, შულაია, ზარია (კარბია 72), კუტალია (კობოური 88)

საბურთალო: მიგინეიშვილი, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, კაკუბავა, თევზაძე (ლაკვეხელიანი 46), ალთუნაშვილი, გორგიაშვილი, დიასამიძე, კოხრეიძე, შინდაგორიძე (მალი 76), დვალიშვილი (როლოვიჩი 68)

გაძევება: შულაია (85)

ტურის ცენტრალური შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე გაიმართა – დედაქალაქურ დერბიში დინამომ საბურთალოს უმასპინძლა. თავიდანვე აღსანიშნავია, რომ მატჩი თვალსასაჩეროდ და მაღალ ტემპში წარიმართა.

შეხვედრა მასპინძელთათვის არასასიამოვნოდ დაიწყო. მე-4 წუთზე ვლადიმერ დვალიშვილმა დინამოელთა დაცვის ხაზის შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

მატჩის მე-10 წუთზე უკვე დინამოს ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, ჩამოწოდებულ ბურთს კარისკენ აბდელ მეჯუბი გზავნიდა, მაგრამ მისი თავური ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია. მომდევნო შეტევაში უკვე ლევან კუტალიას არ გაუმართლა – სტუმართა კარს ოდნავ ააცილა ბურთი. კიდევ ერთი შეტევა და ამჯერად ლევან შენგელიას არ გამოუვიდა დარტყმა, არადა მანამდე ტექნიკურად ჩამოიცილა მეტოქე.

მატჩის მე-19 წუთზე გიორგი ზარიას შესანიშნავი თამაშის შემდეგ კუტალია მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა ზუსტად ვეღარ დაარტყა. სამაგიეროდ, მომდევნო შეტევაში აკაკი შულაიას ჩაწოდებული შეირგო და ზუსტი თავურით ანგარიშიც გაათანაბრა – 1:1.

აქედან 4 წუთში დინამოს კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ზუსტად გიორგი კოხრეიძემ შეასრულა.

ამის შემდეგ დინამომ მთლიანად მოიპოვა სათამაშო უპირატესობა, რამდენჯერმე მწვავედაც შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე პენალტი უკვე სტუმართა კარში დაინიშნა, კუტალიამ დუბლი შეასრულა და ტაიმიც მორჩა – 2:2.

მეორე ნახევრის სტარტზე სახიფათო მომენტები შენგელიამ და კოხრეიძემ გაცვალეს. 66-ე წუთზე შულაია შეტევის მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეიჭრა, დაარტყა კიდეც, თუმცა ბურთი საბურთალოს კარის ბადეს გარედან მოხვდა. 75-ე წუთზე შენგელიას აქტიურობა მარჯვენა ფრთიდან, საბოლოოდ მისი დარტყმული მიგინეიშვილმა უკუაგდო. დინამოელთა მასირებულმა შეტევებმა შედეგი მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გამოიღო: შულაიას ჩაწოდებული ბურთი შეცვლაზე შემოსულმა ფრან კარბიამ კუტალიას დაუგდო, დინამოელთა ფორვარდმა კი ჰეთ თრიქი გაიფორმა – 3:2.

მალე დინამოელები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ. მსაჯმა მოედნიდან მეორე ყვითელი ბარათის გამო შულაია გააძევა. თუმცა, ამას დინამოელებისთვის ხელი არ შეუშლია და კარბიამ საგოლე პასს ზუსტი დარტყმაც მიაყოლა და მატჩისთვის კომპენსირებულ დროში შენგელიას პასის შემდეგ თავით გადაგზავნა მიგინეიშვილის კარში – დინამომ 4:2 იმარჯვა.

ტორპედო-რუსთავი 2:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 აზაცკი (30), 2:0 კაპანაძე (57)

ტორპედო: კვასხვაძე, ცინცაძე, გიგაური (ჭიჭინაძე 88), ნ.ქავთარაძე, თ.კაპანაძე (ზივზივაძე 70), აზაცკი, გეგეჭკორი, დოლიძე, ქიმაძე, კობახიძე, ლუკა (ჩაჩუა 54)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე (ქოჩლაძე 46), ტაკულოვი, ლ.გადრანი, ფონიავა (გუჯაბიძე 70), ჯაფიაშვილი (ჩოგაძე 79), სილაგაძე, ციცქიშვილი, იმნაძე, გისტაროვი, ყიფიანი

ტორპედოს სტადიონზე რეკონსტრუქციაა და იმერლებმა რუსთავს სამტრედიაში უმასპინძლეს. მატჩში ფავორიტი ტორპედო იყო და ამ სტატუსის გამართლებას დასაწყისიდანვე შეუდგა.

ერთია, ტორპედოელთა გოლმა ნახევარი საათი დაგვიანა, შემდეგ კი ანგარიში ოლეკსანდრ აზაცკიმ გახსნა.

მე-2 ტაიმში თავისი გოლი თორნიკე კაპანაძემაც გაიტანა და ნათელი გახდა, რომ მასპინძლები 3 ქულას აიღებდნენ. ასეც მოხდა, რუსთავი კი, მიმდინარე სეზონში, ჯერჯერობით, ყველაზე სუსტი გუნდი მოჩანს.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	5	4	0	1	11-6	12
2.დინამო (თბ)	5	3	0	2	11-5	9
3.ტორპედო	5	3	0	2	7-7	9
4.დინამო (ბთ)	5	3	0	2	3-3	9
5.სიონი	5	2	1	2	5-9	7
6.ლოკომოტივი	5	2	0	3	8-11	6
7.ჩიხურა	5	1	3	1	8-5	6
8.ვიტ ჯორჯია	5	1	2	2	2-3	5
9.დილა	5	1	2	2	4-4	5
10.რუსთავი	5	0	2	3	3-9	2

ბითაძე ფინალში გასასვლელად იბრძვის, შენგელია მოედანს დაუბრუნდა

გოგა ბითაძის ბუდუჩნოსტმა ადრიატიკის ლიგის ნახევარფინალურ სერიაში ცედევიტას ანგარიში გაუთანაბრა და ფინალში გასასვლელად გადამწყვეტი მატჩის მოგება მართებს, რომელიც ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაიმართება.

ამ მატჩის დაწყებამდე გოგა ბითაძეს მვპ-ის 2 ტიტული გადასცეს. 19 წლის ქართველი ადრიატიკის ლიგის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად, ასევე სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დასახელეს. ორივე ტიტული გოგამ გუნდების მოთელვისას, სავსე ტრიბუნების წინაშე ჩაიბარა.

რაც შეეხება მატჩს, ის ლიგის ჩემპიონმა ბუდუჩნოსტმა მძიმედ დაიწყო და საბოლოოდ იოლად იმარჯვა. პირველი პერიოდი ხორვატულმა გუნდმა ქულით მოიგო, თუმცა მეორეში მასპინძლებმა იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე 2-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. მესამე და მეოთხე პერიოდებში პოდგორიცელებს აღარ გასჭირვებიათ და საბოლოოდ 87:72 მოიგეს.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, ხოლო მოედანზე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

31 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კარდიფი-ჩელსი 1:2
ლივერპული-ტოტენჰემი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	32	24	7	1	72-19	79
2.სიტი	31	25	2	4	81-21	77
3.ტოტენჰემი	31	20	1	10	58-34	61
4.მანჩესტერი	31	18	7	6	60-41	61
5.არსენალი	30	18	6	6	63-39	60
6.ჩელსი	31	18	6	7	52-34	60
7.ვულვზი	31	12	8	11	38-38	44
8.ლესტერი	32	13	5	14	42-43	44
9.უოტფორდი	31	12	7	12	43-46	43
10.ვესტ ჰემი	32	12	6	14	41-48	42
11.ევერტონი	32	12	7	13	45-42	43
12.ბორნმუთი	32	11	5	16	43-58	38
13.კრ.პალასი	31	10	6	15	38-41	36
14.ნიუკასლი	31	9	8	14	31-40	35
15.ბრაიტონი	30	9	6	15	32-43	33
16.საუთჰემპტონი	31	8	9	14	35-50	33
17.ბარნლი	32	9	6	17	37-59	33
18.კარდიფი	31	8	4	19	28-59	28
19.ფულემი	32	4	5	23	29-72	17
20.ჰადერსფილდი	32	3	5	24	18-59	14

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ეიბარი 2:2
რაიო-ბეტისი 1:1
სევილია-ვალენსია 0:1
ვალიადოლიდი-სოსიედადი 1:1
რეალი-უესკა 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	29	21	6	2	75-27	69
2.ატლეტიკო	29	17	8	4	43-19	59
3.რეალი	29	18	3	8	52-34	57
4.ხეტაფე	29	12	10	7	36-26	46
5.ალავესი	29	12	8	9	31-35	44
6.ვალენსია	29	9	16	4	31-23	43
7.სევილია	29	12	7	10	47-37	43
8.ბილბაო	29	9	13	7	30-32	40
9.ბეტისი	29	11	7	11	33-37	40
10.სოსიედადი	29	9	10	10	34-34	37
11.ეიბარი	29	8	12	9	38-40	36
12.ლეგანესი	29	9	9	11	29-34	36
13.ხირონა	29	8	10	11	32-39	34
14.ესპანიოლი	29	9	7	13	32-43	34
15.ლევანტე	29	8	8	13	40-51	32
16.ვალიადოლიდი	29	7	9	13	24-40	30
17.ვილიარეალი	29	6	11	12	34-39	29
18.სელტა	29	7	7	15	39-49	28
19.რაიო	29	6	6	17	31-52	24
20.უესკა	29	5	7	17	30-50	22

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-მალიორკა 3:2
ოსასუნა-ესტრემადურა 1:0
ალკორკონი-ლუგო 0:0
ოვიედო-დეპორტივო 1:1
ლას პალმასი-ელჩე 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰანოვერი-შალკე 0:1
აინტრახტი-შტუტგარტი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	27	19	6	2	66-30	63
2.ბაიერნი	27	19	4	4	69-28	61
3.ლაიფციგი	27	15	7	5	49-20	52
4.აინტრახტი	27	14	7	6	54-30	49
5.გლადბახი	27	14	5	8	46-34	47
6.ლევერკუზენი	27	13	3	11	48-44	42
7.ვოლფსბურგი	27	12	6	9	44-41	42
8.ვერდერი	27	11	9	7	49-39	42
9.ჰოფენჰაიმი	27	10	11	6	54-39	41
10.ჰერტა	27	9	8	10	40-44	35
11.ფორტუნა	27	10	4	13	36-51	34
12.ფრაიბურგი	27	7	11	9	38-43	32
13.მაინცი	27	8	6	13	28-48	30
14.შალკე	27	7	5	15	28-44	26
15.აუგსბურგი	27	6	7	14	37-50	25
16.შტუტგარტი	27	5	5	17	26-59	20
17.ჰანოვერი	27	3	5	19	24-62	14
18.ნიურნბერგი	27	3	7	17	22-52	16

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-არმინია 2:2
ინგოლშტადი-ზანდჰაუზენი 1:2
კიოლნი-კილი 4:0

იტალია. სერია ა

პარმა-ატალანტა 1:3
რომა-ნაპოლი 1:4
ფიორენტინა-ტორინო 1:1
ფროზინონე-სპალი 0:1
ბოლონია-სასუოლო 2:1
ინტერი-ლაციო 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	29	25	3	1	60-19	78
2.ნაპოლი	29	19	6	4	56-24	63
3.ინტერი	29	16	5	8	43-25	53
4.მილანი	29	14	9	6	43-27	51
5.ატალანტა	29	14	6	9	60-40	48
6.ლაციო	28	14	6	8	42-29	48
7.რომა	29	13	8	8	53-43	47
8.სამპდორია	29	13	6	10	50-38	45
9.ტორინო	29	11	12	6	38-27	45
10.ფიორენტინა	29	8	14	7	44-36	38
11.ჯენოა	29	8	9	12	34-44	33
12.კალიარი	29	8	9	12	28-40	33
13.პარმა	29	9	6	14	31-47	33
14.სასუოლო	29	7	11	11	40-49	32
15.სპალი	29	7	8	14	26-42	29
16.უდინეზე	28	7	7	14	26-40	28
17.ბოლონია	29	6	9	14	27-43	27
18.ემპოლი	29	6	7	16	36-55	25
19.ფროზინონე	29	3	8	18	21-54	17
20.კიევო	29	1	11	17	21-57	11

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ლეჩე-პესკარა 2:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ამიენი-ბორდო 0:0
დიჟონი-ნიცა 0:1
მონაკო-კაენი 0:1
ნანტი-ლილი 2:3
ტულუზა-პსჟ 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	29	26	2	1	87-16	80
2.ლილი	30	18	6	6	48-26	60
3.ლიონი	30	16	8	6	51-35	56
4.მარსელი	30	14	6	10	47-40	48
5.სტ.ეტიენი	29	13	7	9	41-34	46
6.რეიმსი	29	11	13	5	31-27	46
7.ნიცა	30	12	8	10	22-29	44
8.მონპელიე	29	10	12	7	40-34	42
9.რენი	29	11	8	10	39-37	41
10.სტრასბური	29	9	12	8	45-35	39
11.ანჟე	30	8	13	9	35-35	37
12.ნიმი	28	10	7	11	40-42	37
13.ბორდო	30	8	11	11	28-31	35
14.ტულუზა	30	7	11	12	28-44	32
15.ნანტი	29	8	7	14	33-38	31
16.მონაკო	30	7	9	14	30-45	30
17.ამიენი	30	8	6	16	24-43	30
18.კაენი	30	4	11	15	24-44	23
19.გენგამი	29	5	7	17	19-51	22
20.დიჟონი	30	5	6	19	21-47	21

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

მეცი-ლორიანი 2:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ბრედა-ვენლო 1:1
ზვოლე-ემენი 3:0
უტრეხტი-ფეინოორდი 3:2
აიაქსი-პსვ 3:1

ჰოლანდია. პირველი ლიგა

მარიტიმუ-ნასიონალი 3:2
რიუ ავე-ავიში 0:2
ბოავიშტა-ბელენენსეში 2:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ზენიტი-ორენბურგი 3:1
ცსკა-უფა 2:2
კრასნოდარი-ანჟი 5:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ლუგანო 1:1
ქსამაქსი-თუნი 3:2
იანგ ბოიზი-სტ.გალენი 3:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-რეინჯერსი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-ლინცერი 0:3
შტურმი-სტ.პოლენი 0:1
ზალცბურგი-აუსტრია 5:1

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-გენტი 3:0
სტ.ტრუიდენი-შარლერუა 3:1
ვესტერლო-ბეერსხოტი 1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-ოფი 3:1
აეკი-პანეთოლიკოსი 4:0
ქსანთი-პაოკი 1:2
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

იაბლონეცი-პრჟიბრჟამი 3:0
პლზენი-ბოჰემიანსი 1905 ..... 3:2

პოლონეთი. ეკსტრაკლასა

პოგონი-იაგელონია 0:0
ვისლა-ლეგია 4:0

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ესბიერგი 1:0
ვენსიუსელი-ჰობრო 3:3
ოლბორგი-რანდერსი 1:2

რანდერსის პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

სონდერიისკე-ჰორსენსი 0:0

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ესტერსტუნდი 0:0
კალმარი-სირიუსი 0:2
ფალკენბერგი-იორებრო 1:0
ესკილსტუნა-გიოტებორგი 3:1
ჰელსინბორგი-ნორჩიოპინგი 3:1

ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-კრისტიანსუნდი 2:0
რანჰეიმი-ტრომსო 1:2
სარპსბორგი-მიოლდე 1:1
სტრომგოდსეტი-ჰაუგესუნდი 3:2
ბოდო გლიმდტი-რუსენბორგი 2:0

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მაშველებმა ზვიგენებით სავსე წყლიდან მეთევზეები ამოიყვანეს

ავსტრალიაში ორმა დაჭერილმა ზვიგენმა მეთევზეების ნავი ჩაძირა. მათი გადარჩენის სამაშველო ოპერაციის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გაავრცელა.

ორი მეთევზე ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ნიუკასლის სანაპიროდან 60 კილომეტრში იმყოფებოდნენ, როდესაც მათ ბადეში ორი დიდი ზომის ზვიგენი გაება. მტაცებლები იმდენად მძიმენი აღმოჩნდნენ, ნავმა ჩაძირვა დაიწყო. მეთევზეებმა საავარიო გადამცემი სიგნალი გააქტიურეს, რომელიც ჯპს-ს კოორდინატებს გადასცეს და ჰაერში მაშხალაც გაუშვეს.

მაშველები შვეულმფრენით საკმაოდ ოპერატიულად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე.

– წყლის ზედაპირზე ნავის მხოლოდ ცხვირიღა მოჩანდა და მეთევზეები სწორედ მას იყვნენ ჩაფრენილები, – იხსენებს სამაშველო ჯგუფის წევრი მეთ დიპოლიტო. კადრებში ჩანს, თუ როგორ ამოჰყავთ სამაშველოყიელტებიანი მამაკაცები სპეციალური ბაგირის დახმარებით მაშველებს შვეულმფრენში. ამ დროს კი ერთ-ერთი ზვიგენი ჩაძირული ნავის გარშემო დაცურავს. მეთევზეები გადაარჩინეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

კურიერმა კლიენტის კოქტეილი დააგემოვნა და ჩავარდა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სტოკტონში კურიერმა კლიენტის კოქტეილს გემო გაუსინჯა, რაც სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა და ამის შედეგად უმუშევარი დარჩა.

კოქტეილი და ნამცხვარი 14 წლის რიშაბ მალხოტრამ შეუკვეთა. მას ეჭვადაც არ აუღია, რომ კურიერმა მის შეკვეთილ კოქტეილს გემო გაუსინჯა და დიდი სიამოვნებით შეექცა შეკვეთით მირთმეულ ტკბილეულს. მეორე დღეს რიშაბს მამამ რაჯეშ მალხოტრამ სთხოვა, რომ გარე სათვალთვალო კამერის ჩანაწერი ენახა. მასზე მოზარდმა ნახა, რომ კურიერმა მისი რძიანი კოქტეილი მოსვა.

– ვიდეოჩანაწერი ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვნახე. ჩემთვის ეს ყოველივე საზიზღარი საყურებელი იყო, – აღიარა მოზარდმა.

რაჯეშმა მომხდარს სიგიჟე უწოდა და აღნიშნა, რომ კურიერმა ოჯახის ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დააყენა. მან იქვე დაამატა, რომ მართალია ცუდად არავინ გამხდარა, თუმცა მიმწოდებელი კომპანიის მიმართ კურიერმა ნდობა დააკარგვინა. მოზარდის მამამ საჩივარი დაწერა, მას თან დაურთო ვიდეოჩანაწერი და მიმწოდებელ კომპანიას გაუგზავნა.

ორი კვირის შემდეგ მამაკაცმა კომპანიისგან მიიღო შეტყობინება, რომელშიც მათ ბოდიშს უხდიდნენ და აცნობებდნენ, რომ კურიერი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ბიჭი ინვალიდ მეგობარს ექვსი წელი სკოლაში ზურგით დაატარებდა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ქალაქ მეიშანში 12 წლის მოსწავლე ექვსი წლის განმავლობაში მეგობარს, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დადის, სკოლაში საკუთარი ზურგით დაატარებდა.

სიუი ბინიანმა და ჩუან ცზემ ერთმანეთი პირველ კლასში გაიცნეს. ჩუანს ოთხი წლიდან მიასტენია აქვს – კუნთ-ნერვოვანი დაავადება, რომელიც კუნთების პათოლოგიურ სწრაფ დაღლილობას იწვევს. ამის გამო ბავშვი დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებს.

ორმა თანაკლასელმა, რომელთაგან ერთ-ერთი სიუი იყო, მას დახმარება შესთავაზეს. ყოველდღე ისინი მას სკოლაში დაატარებდნენ, ეხმარებოდნენ კაბინეტებსა და სასადილომდე მიღწევაში, ხოლო გაკვეთილების შემდეგ მეგობარი სახლში მიჰყავდათ. მესამე კლასში მეორე ბიჭმა გამოაცხადა, რომ მას ამის დრო აღარ ჰქონდა და სიუი მარტო დარჩა.

– სიუი ბინიანი ჩემი საუკეთესო მეგობარია, – ამბობს ჩუანი, – ყოველდღე ის ჩემთან ერთად სწავლობს, მელაპარაკება და მეთამაშება. მე მისი დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ის ყოველდღე ჩემზე ასე ზრუნავს.

თავად სიუი ამტკიცებს, რომ მისი დახმარება ძნელი სულაც არ არის.

– მე 40 კილოგრამს ვიწონი, ხოლო ჩუან ცზე მხოლოდ 25 კილოგრამს, ასე რომ, ჩემთვის მისი ტარება ძნელი არ არის, – ამბობს 12 წლის ბიჭი.

ბითაძე ფინალში გასასვლელად იბრძვის, შენგელია მოედანს დაუბრუნდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

20 წუთი გაატარა. ქართველი ცენტრი მეტსაც ითამაშებდა, მოედანი 5 პერსონალურის გამო რომ არ დაეტოვებინა. მან 11 ქულა, 5 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. გოგამ 5-დან 3 ორქულიანი და 9-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, სამიანი კი ააცილა.

ნახევარფინალური სერიის მე-3 გადამწყვეტი შეხვედრა ზაგრებში გაიმართება. მეორე ნახევარფინალშიც თანაბრობაა: პარტიზანმა 70:67 დაამარცხა ცრვენა ზვეზდა და იქაც გამარჯვებულს მე-3 მატჩი გამოავლენს.

გადავინაცვლოთ ესპანეთში, სადაც ტრავმის გამო გამოწვეული იძულებითი დასვენების შემდეგ თორნიკე შენგელია მოედანს დაუბრუნდა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ესპანური ბასკონიას კაპიტანი გასული წლის 30 დეკემბერს, ესპანეთის ჩემპიონტის მატჩში, რეალთან დაშავდა და ნატკენ მუხლს აქამდე მკურნალობდა. ბოლო ტურში კი თორნიკე პარკეტზე გამოჩნდა და მის გუნდს ესტუდიანტესის ძლევაში დაეხმარა – 104:67.

შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაება და მოედანზე გატარებულ 17 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. თორნიკემ 10-დან 5 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

18 მოგებითა და 7 მარცხით ბასკონიელები მე-3 ადგილზე არიან, შემდეგ ტურში კი, სტუმრად მურსიას დაუპირისპირდებიან.

დასანანი მარცხი იწვნია გიორგი შერმადინის უნიკახამ. მალაგური კლუბი შერმადინის ყოფილ კლუბ სარაგოსას ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში – 70:72 წააგო.

მალაგელები ბოლო პერიოდის წინ 9 ქულით იგებდნენ და გამარჯვებამდე მცირედი უკლდათ, თუმცა სარაგოსელებმა ბოლო წამებამდე იბრძოლეს და გამარჯვების მოპოვება შეძლეს.

შერმადინი სათადარიგო იყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის ანგარიშზე მთლიანობაში 8 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი დაგროვდა. გიორგის თამაშის ნაადრევად დატოვება მოუხდა, რადგან 5 პერსონალური მიიღო.

ამ წაგების მიუხედავად, უნიკახა ცხრილში მე-4 ადგილზე დარჩა, რადგან კონკურენტმა ვალენსიამაც წააგო. მალაგელებს 10 მოგება და 5 მარცხი აქვთ, მომდევნო შეხვედრას კი შინ თად მაკფადენის ხუვენტუტთან გამართავენ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელს, 25-ე ტურში მაკფადენის გუნდმაც წააგო.

ხუვენტუტი ერთ-ერთ აუტსაიდერ ბრეოგანს დაუხვდა და 81:88 დამარცხდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა მოედანზე 21 წუთი გაატარა და 5 ქულა და 4 პასი მიითვალა. მაკფადენმა 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ორქულიანი ააცილა.

ბადალონელებს 14 მოგება და 11 მარცხი მოუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფებიან.

კიდევ ერთი ორმაგი დუბლი ბექა ბურჯანაძისგან. ესპანეთის ჩემპიონატის 25-ე ტურში ქართველი ფორვარდის გიპუზკოამ ანდორას უმასპინძლა და 72:84 დამარცხდა, ბურჯანაძე კი მასპინძელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

თავის ყოფილ გუნდთან ბურჯანაძემ ორმაგი დუბლი შეასრულა. ბექა სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთი ითამაშა. ჩვენებურმა საკუთარ გუნდს 16 ქულა, 10 მოხსნა და 1 პასი შეაშველა. ქართველმა ფორვარდმა 8-დან 5 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

გიპუზკოას 25 თამაშში 6 გამარჯვების წილ 19 მარცხი აქვს და ბოლო, მე-18 ადგილზეა. მომდევნო ტურში კი ესტუდიანტესს უმასპინძლებს.

ესპანეთის რანგით მე-4 ლიგაში ლუკა ბულაშვილის კულერედო ხიხონ ბასკეტს დაუხვდა და სატურნირო ცხრილში ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს 71:67 სძლია.

ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა. ლუკამ 35 წუთის განმავლობაში 8-დან 2 ორქულიანი და 4-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 6 სამქულიანი კი ააცილა და 5 ქულას 3 მოხსნა, 7 პასი და 2 ჩაჭრა წაამატა.

კულერედო 16 მოგებითა და 7 მარცხით 2-3 ადგილებს ინაწილებს, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, ლეონთან ჩაატარებს.

ლიდერ არდოისთან უიმედო მარცხი (70:98) განიცადა რატი ანდრონიკაშვილის მირაფლორეს ბურგოსმა. აღსანიშნავია, რომ ქართველი უკანახაზელი პირველად ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და 12 წუთში 4 ქულა და 2 პასი მიითვალა. რატიმ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

მირაფლორესს 12 მოგებითა და 11 მარცხით მე-7 პოზიცია უკავია, შემდეგი შეხვედრა კი სტუმრად, ეასოსთან ელის.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

გოგონას უცნაური ცეკვა ხელის თხოვნის შემდეგ ვიდეოზე გადაილეს

ნიგერიის ქალაქ ლაგოსში გოგონამ შეყვარებულის მიერ ხელის თხოვნის შემდეგ ცეკვა დაიწყო. ეს შემთხვევა ერთ-ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გოგონასთან მამაკაცი ზურგის მხრიდან იმ დროს მივიდა, როდესაც ის ვიღაცას ელაპარაკებოდა, მუხლზე დაიჩოქა და ნიშნობის ბეჭედი ამოიღო. გოგონა მისკენ შეტრიალდა და მაშინვე ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა.

გაოცებისგან ის გარკვეული დროის განმავლობაში გაოგნებული იდგა, შემდეგ კი ხტუნვა და ცეკვა დაიწყო. მას გვერდით მყოფები ღილით უყურებდნენ. გამოცემის ინფორმაციით, სიხარულისგან გოგონას მამაკაცისთვის წინადადებაზე არც კი უპასუხია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შვიდი წლის ბიჭს პუმეები თავს დაესხნენ

შვიდი წლის კანადელი ბიჭი საავადმყოფოში პუმების თავდასხმის შედეგად მძიმე მდგომარეობაში იქნა გადაყვანილი.

ინციდენტი ნაკრძალის ტერიტორიაზე ტბა კოვიჩანის მახლობლად მოხდა. ერთდროულად ორი მტაცებელი ბავშვს თავს დაესხა და თავზე, კისერსა და ხელებზე მძიმე ჭრილობები მიაყენეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბიჭი ვანკუვერის საავადმყოფოში მოათავსეს.

მოგვიანებით ნაკრძალის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილის მახლობლად ორი პუმა აღმოაჩინეს და ცეცხლსასროლი იარაღით დახოცეს. სერჟანტ სკოტ ნორისის თქმით, ისინი გამხდრები იყვნენ და არცთუ კარგად გამოიყურებოდნენ. ასევე არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ცხოველები მეტნიც იყვნენ, თუმცა იმ შემოგარენში სხვები არ დაუფიქსირებიათ.

ასტროპროგნოზი

2 აპრილისთვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანცალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 2. კურორტი ხაშურის რაიონში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 6. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. სასიამოვნო სურნელება; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე; 19. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

თარაზულად: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ფრანგი მწერალი; 7. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 9. სომეხთა მღვდელი; 10. იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. მუზეუმი ბერლინში; 20. აეროპორტი რომში; 21. ქართული ლუდი; 22. ცნობილი ქართველი გინეკოლოგი, აკადემიკოსი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ლამბაქი; 5. რამპა; 7. პაროდია; 9. ადამარი; 10. მორიელი; 13. ზარნაშო; 14. ტაბორი; 15. მონა; 19. მენთოლი; 20. მენეჯერი; 21. პარმეზანი; 22. ვალეტი.

შვეულად: 1. „ლამარა“; 2. ბრამსი; 3. პასადენა; 4. ბიზონი; 6. პატიმარი; 8. კრუიზი; 11. მაჰარაჯა; 12. კომედია; 16. ტონგა; 17. ვესტა; 18. ოკაპი.

სკანვორდის პასუხები:

1. ადა; 2. ნეკი; 3. კარაკასი; 4. კონაკრი; 5. პანსა; 6. რა; 7. ამინ; 8. სარასატე; 9. პან; 10. კაა; 11. ერიკ; 12. ნეო; 13. სტაფილო; 14. არი; 15. ოლქი; 16. მკათათვე; 17. გრამი; 18. გიგანი; 19. კამიკაძე; 20. მარში; 21. რეა; 22. სურათი; 23. მაკლერი; 24. აკაჟუ; 25. პატიო; 26. პრემიერი; 27. კალია; 28. ინა; 29. ეთანი; 30. საბუე; 31. აკა; 32. მეი; 33. მელისა.

სურათებზე: ალექსა ჩანგი; ლუკაშ ფაბიანსკი.

ქართველი მეცო-სოპრანო იზა ქავთარაძე გარდაცვლილი იპოვეს

27 წლის მეცო-სოპრანო იზა ქავთარაძე იტალიაში გარდაცვლილი იპოვეს.

ინფორმაცია სეუს თეატრალურმა დასმა გაავრცელა. იზა საქართველოში ცხოვრების დროს სწორედ ამ დასის პირველი თაობის მომღერალი და მსახიობი იყო:

– სეუს თეატრალური დასის პირველი თაობის მსახიობი და მომღერალი იზა ქავთარაძე. სეუს თეატრალური დასი მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი უმშვენიერესი იზას გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს და ახლობლებს.

პ.ს. იზა ქავთარაძე საქართველოში საოპერო ხელოვნებას გულიკო კარიაულთან ეუფლებოდა. იგი მილანში სასწავლებლად იყო წასული.

გავრცელებული ინფორმაციით, იზა ქავთარაძე გარდაცვლილი საკუთარ სახლში ნახეს. გარდაცვალების მიზეზი ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი.

გიორგი კელაპტრიშვილს მანანა დოიაშვილი უზრდელობაში ადანაშაულებს



„მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებულს გიორგი კელაპტრიშვილს მანანა დოიაშვილი უზრდელობაში ადანაშაულებს.

მანანა დოიაშვილი:

– ალბათ, ბევრი წელია სოციალურ ქსელში ვარ და ამ ხნის მანძილზე 2 ადამიანმა დამბლოკა სულ!

ერთი თამარა ჩერგოლეიშვილი იყო, რომელმაც ნიკა გვარამიას დაცვის გამო დამბლოკა და მეორე, ჩემდა სამწუხაროდ და მისდა სამარცხვინოდ, გიორგი კელაპტრიშვილი „მხოლოდ ქართულის“, დაუმსახურებლად, ჩემი აზრით, გამარჯვებული.

რომელსაც პირველივე წარუმატებელი კონცერტი ჰქონდა ბათუმის „ინტურისტის“ ფოიეში.

კელაპტრიშვილი მე მოვიწონე ნანა გვარმიანთან ერთად შესარჩევ ტურზე და გადავიყვანეთ, თუმცა ასევე უზრდელად მოექცა ნანასაც.

ორჯერ გადავარჩინე, რომ ლაივზე არ ჩავარდნილიყო და ყველანაირად მხარში ვედექი.

კონცერტამდე გამამხნევებელ-მხარდასაჭერი პოსტი დავუდე გვერდზე.

ამის მერე, უცბად დამბლოკა, გაურკვეველი მიზეზების გამო.

რა გითხრათ, ჩერგოლეიშვილი ცნობილი გიჟია და...

კელაპტრიშვილი შეუმდგარი სი.ი აღმოჩნდა!

გენიოსია რუსთველი: „ყვავი რომ ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია!“

გორან ბრეგოვიჩი ქართველ მუსიკოსებთან ერთად მსოფლიო ჰიტებს შეასრულებს

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი გორან ბრეგოვიჩი ქართველ მუსიკოსებთან ერთად მსოფლიო ჰიტებს შეასრულებს.

გორან ბრეგოვიჩი საქართველოში რამდენჯერმეა ნამყოფი და კონცერტები აქვს გამართული. ამჯერად თბილისს მისი პროდიუსერი მარკო ესტუმრა. მან კულტურის პალატის ხელმძღვანელ დავით ოქიტაშვილთან აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართა.

დავით ოქიტაშვილი:

– საქართველოს კულტურის პალატას სტუმრობდა შესანიშნავი მუსიკოსის, გორან ბრეგოვიჩის პროდიუსერი მარკო. გადაწყდა, რომ გაიმართება გორან ბრეგოვიჩის კონცერტი ქართველ მუსიკოსებთან ერთად „მსოფლიო ჰიტები“, ღონისძიებას ორგანიზებას კულტურის პალატა გაუწევს. კონცერტის დამდგმელი რეჟისორი და მხატვარი ბაკურ ბაკურაძე იქნება, სადირიჟორო პულტთან კი ნიკა ნიკვაშვილი. კონცერტის გამართვის თარიღს და ადგილს უახლოეს მომავალში მოგახსენებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მეთევზემ 100-კილოგრამიანი მკვდარი ზვიგენის თავი დაიჭირა

ავსტრალიის სანაპირო წყლებში უზარმაზარი ზვიგენის თავი აღმოაჩინეს. მისი ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში იქნა გამოქვეყნებული.

28 მარტს მეთევზე, სახელად ჯეისონი, ზვიგენებზე ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ბერმაგის სანაპიროსთან თევზაობდა, როდესაც წყალში რაღაც არსების ნარჩენები შენიშნა.

– ეს არის სულ, რაც დარჩა ზვიგენი-მაკოსგან. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვინახავს, ვინ მოაჭამა მას თავი, მაგრამ ეს აშკარად რაღაც უზარმაზარი იყო! მხოლოდ მისი თავი იწონის 100 კილოგრამს, – დაწერა ფოტოსურათის ავტორმა კომენტარში.

სოციალური ქსელის მომხმარებლებს შორის გაიმართა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო ზვიგენის დაღუპვის მიზეზი.

– სავარაუდოდ, მას თავს ერთდროულად ორი ზვიგენი დაესხა, – ივარაუდა აარონ სმიტმა.

– ეს ასი პროცენტით უზარმაზარი ვეფხვისებური ზვიგენი იქნებოდა, – განაცხადა მეორე კომენტატორმა.

– ჩემი აზრით კი მას მკვლელი ვეშაპი დაესხა თავს, – დაასკვნა ინტერნეტ-მომხმარებელმა, სახელად დემიენმა.

ზვიგენი-მაკო სიგრძეში – 3,8 მეტრს, ხოლო წონაში ნახევარ ტონას აღწევს. აღსანიშნავია, რომ ეს სახეობა ყველაზე სწრაფ ზვიგენად ითვლება ყველა არსებულ სახეობებს შორის და მას საათში 74 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ კახიძე ლატვიაში დაჯილდოვეს

დირიჟორი და კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე ლატვიაში დაჯილდოვეს.

ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელს ლატვიაში „იან დუმინსის ხსოვნის მხარდაჭერის“ თანამეგობრობის ჟიურისგან ყოველწლიური „შთაგონების ისტორიის“ ჯილდო გადაეცა.

ლატვიელი დირიჟორისა და ქორმაისტერის, იან დუმინშის სახელობის ყოველწლიური ჯილდო „შთაგონების ისტორია“ დირიჟორებს, გუნდებს, მევიოლინოებსა და მომღერლებს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში შეტანილი წვლილისა და განვითარებისთვის 2015 წლიდან გადაეცემა.

დაჯილდოების ცერემონია ლატვიის ქალაქ ბალდონეში გაიმართა.

გივი გაჩეჩილაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

4 აპრილს თბილისის ბიგ ბენდის ხელმძღვანელს გივი გაჩეჩილაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან. დირიჟორი, რომელიც უკვე 22 წელია თბილისის ბიგ ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელია, იუბილეს მოკრძალებულად აღნიშნავს.

ვარსკვლავის გახსნამდე თბილისის ივენთ ჰოლში ჩატარდება მაესტროს 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც თბილისის ბიგ ბენდის მუსიკოსებთან და სოლისტებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს სპეციალურად მიწვეული სტუმარი, გრემის ნომინანტი ჯემი დევისი. იგი 70 წლის არის და წლების განმავლობაში კაუნტ ბეისის ორკესტრის სოლისტი იყო. თავის დროზე სწორედ კაუნტ ბეისის ორკესტრის გავლენით შეიქმნა თბილისის ბიგ ბენდი.

ჯემი დევისი საქართველოში სპეციალურად გივი გაჩეჩილაძის იუბილესთვის ჩამოვა და რამდენიმე სიმღერას ბიგ ბენდთან და ქართველ მომღერლებთან ერთად შეასრულებს.

ჯემი დევისი საქართველოში პირველად ჩამოდის და ამიტომ მის დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადებიან. გივი გაჩეჩილაძის საიუბილეო საღამოზე მხოლოდ სპეციალურად მიწვეული სტუმრები მოხვდებიან. 500 ადამიანი მაესტროს სიხარულს მასთან ერთად გაიზიარებს.

ქალეიდოსკოპი

მუსოლინის შვილიშვილი ჯიმ კერის სურათმა აღაშფოთა

ევროპარლამენტის დეპუტატი ალესანდრა მუსოლინი, იტალიის ფაშისტური ორგანიზაციის დამფუძნებლის ბენიტო მუსოლინის შვილიშვილი, მსახიობ ჯიმ კერის მიერ ტვიტერში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ აღაშფოთა.

კანადელ-ამერიკელმა მსახიობმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც დიქტატორის რეჟიმი დაგმო.

– თუ თქვენ გსურთ იცოდეთ საით მივყავართ ფაშიზმს, ჰკითხეთ ამის შესახებ ბენიტო მუსოლინის, – დაწერა კერიმ.

საკუთარ პოსტს მსახიობმა საკუთარივე ნახატი დაურთო, რომელზეც გამოსახულია ფეხებით ჩამოკიდებული ქალი და მამაკაცი. ისტორია ეხება დიქტატორისა და მისი საყვარლის პეტაჩის გაქცევის წარუმატებელ მცდელობას. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ისინი იტალიელმა პარტიზანებმა დახვრიტეს, რის შემდეგაც მათი სხეულები მილანის მოედანზე ჩამოკიდეს.

ამის პასუხად მუსოლინის შვილიშვილმა მსახიობს რამდენიმე იდეა მიაწოდა შემდგომი ნახატებისთვის, რომლებიც მსოფლიო არენაზე აშშ-ის აგრესიულ ქმედებებს უკავშირდება. მისი აზრით, მსახიობმა უნდა დახატოს ბირთვული აფეთქებები ხიროსიმასა და ნაგასაკიში, თეთრკანიანი მოსახლეობის სადისტური ქცევები შავკანიან მონებთან მიმართებაში. ასევე მან კერის ურჩია, დახატოს ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა, რომლებიც ევროპელმა გადასახლებულებმა გაანადგურეს და ვიეტნამელი ბავშვები, რომლებიც დაბომბვისგან თავის დაღწევას ცდილობენ.

მსახიობს ალესანდრა მუსოლინის რჩევებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ცნობილი ნარკობარონი ციხეში მოდელიერი გახდა



პატიმრობაში მყოფი ნარკობარონი ხოაკინ გუსმან ლოერა, რომელიც ელ ჩაპოს სახელითაა ცნობილი, საკუთარი სახელობის ჩასაცმელების ხაზს უშვებს.

ბრენდის თანადამფუძნებელი მისი მეუღლე, 29 წლის ემა კორონელ აისპურო გახდა. ქალის თქმით, წყვილი ამ ბიზნესს თავიანთი შვიდი წლის ტყუპი გოგონების პატივსაცემად ხსნის.

– ეს პროექტი ძალიან მახარებს. ის დაფუძნებულია იმ იდეებსა და კონცეფციებზე, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ მრავალი წლის წინ შევიმუშავეთ. ის ჩვენს გოგონებს ეძღვნებათ, – განაცხადა აისპურომ.

კერძოდ, მათ კოლექციაში შედის ფეხსაცმელი, აქსესუარები და ჯინსის ტანსაცმელი. ელ ჩაპოს ადვოკატის მარიელ კოლონ მიროს თქმით, კოლექციის გაყიდვები მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება.

ხოაკინ გუსმან ლოერა მექსიკელი ნარკობარონია, კარტელ „სინალოას“ მეთაური და ანგარის კლანის წევრი. მან რამდენჯერმე მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა. 2016 წლის იანვარში ის ისევ დააპატიმრეს მექსიკაში, ერთი წლის შემდეგ კი აშშ-ის ხელისუფლებას გადასცეს, სადაც ის მანჰეტების ფედერალურ ციხეში მოათავსეს. მისი საბოლოო განაჩენი მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს გამოცხადდება. გუსმანს სამუდამო პატიმრობა ემუქრება ვადაზე ადრე განთავისუფლების უფლების გარეშე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6914	ევრო — 3.0203
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5147	100 რუსული რუბლი — 4.1638

ამინდის პროგნოზი 2 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 მარტიდან

ეროდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

ზემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღამოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

111 წლის მამაკაცმა საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლო გაამხილა

დიდი ბრიტანეთის ყველაზე ხანდაზმულმა მცხოვრებმა საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ ხუმრობით სიკვდილისთვის ყველანაირად თავის არიდება დაასახელა.

29 მარტს მხცოვანმა ბრიტანელმა ბობი უეიტონმა თავისი 111-ე დაბადების დღე იზეიმა. მამაკაცმა მნიშვნელოვანი თარიღი ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ალტონის მოხუცებულთა სახლში მეგობრებისა და ნაცნობების გარემოცვაში აღნიშნა.

– მე გადავიტანე ყველა ის შიში, რომლებიც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, გრიპი, მალარია, გადავიტანე ორი-სამი ოპერაცია. დიდი ხნის წინ უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მებრძოლი ვარ, – განაცხადა ბრიტანელმა.

მამაკაცმა აღიარა, რომ არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. უეიტონი ამჯობინებს ისეთი ახალი ადამიანების გაცნობასა და მათთან ურთიერთობას, რომლებსაც ესმით, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი. მან დედოფალ ელისაბედ II-საც კი მიმართა თხოვნით, მისთვის არ გამოეგზავნა „უგულო“ მისალოცი ბარათი.

– არ მესმის, რატომ უნდა იხადოს ფული სახელმწიფომ ვითომდა დედოფლის მიერ გამოგზავნილ მისალოცში, სინამდვილეში ხომ ეს მისი არ არის, – განმარტა მამაკაცმა.

აღსანიშნავია, რომ უეიტონი კვლავ თავად ამზადებს საჭმელს და დადის პროდუქტების მაღაზიაში სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, რომელსაც უკვე ამშვენებს წარწერა „ბობი 111“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემს სახლში ავეჯი ლაპარაკობს.

– საინტერესოა. და ეს როგორ ხდება?

– ღამე მძინავს, რა თქმა უნდა, ცოლთან ერთად, ამ დროს კი კარადა ამბობს: „მგონი, შენმა დაიძინა“. ცოლი კი პასუხობს: „ჰო, სძინავს“. კარადა ამბობს: „კარგი, მაშინ მე წავედი!“ მე კი მას ვეუბნები: „სად უნდა წახვიდე? დაეტიე მანდ! ჯერ შენი კრედიტი არც კი დამიფარავს!“

●●●

ორი მონადირე ძაღლი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

– გუშინ მე და ჩემი პატრონი ტყეში მივდივართ. უცბად ბუჩქებიდან დათვი გამოვარდა და ჩვენკენ გამოქანდა...

– მერე?

– ჩემს სკლეროზიან პატრონს კი ტყვიები სახლში დარჩა. მე ავდექი, ვეცი და ვუღრიალე...

– რა მამაცი ხარ, იმხელა ცხოველს რომ ეძგერე!

– რომელ ცხოველს?! პატრონს მივვარდი და ვუღრიალე: „გავიქცეთ, სულელო!!!“

●●●

ღამით ტელეფონი რეკავს. ქალმა ყურმილი აიღო.

– ძვირფასო, ეს მე ვარ, სახლში მოვდივარ. ძალიან ხომ არ ვაგვიანებ?

– არა, საყვარელო.

– და, შეიძლება, მეგობრები მოვიყვანო?

– დიახ, საყვარელო.

– დავსხდებით, დავლევთ...

– რა თქმა უნდა, საყვარელო.

მამაკაცი უცბად გაჩუმდა და მცირე პაუზის შემდეგ ეუბნება:

– მაპატიეთ, ალბათ ნომერი შემეშალა.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– ყურები რისთვის გაქვს?

– ყველაფერი რომ დავინახო.

– კი მაგრამ, მაგისთვის ხომ თვალები გაქვს.

– მასეა, მაგრამ, თუ ყურები არ მექნება, ქუდი თვალებზე ჩამომეფხატება და ვერაფერს დავინახავ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დევიდ ბექჰემმა სოლსკიაერი შეაქო

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდამ დევიდ ბექჰემმა თავის ყოფილ თანაგუნდელ ოლე გუნარ სოლსკიაერზე ისაუბრა და თქვა, რომ ოლემ სამწლიანი კონტრაქტი დაიმსახურა.

ბექჰემის აზრით, სწორედ სოლსკიაერის მსგავსი მწვრთნელი სჭირდება მანჩესტერს:

– მე ვუყურებ გუნდის თამაშებს და პროგრესი აშკარაა, ამიტომ მიხარია, რომ სოლსკიაერმა გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ის ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, – განაცხადა დევიდ ბექჰემმა.

იურგენ კლოპი: „ვან დეიკის ტრავმა სერიოზული არ არის“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ვან დეიკის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ტრავმა სერიოზული არ არის.

კლოპის თქმით, ტოტენჰემთან გამარჯვება, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო.

– ძალიან მიხარია, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებას მივაღწიეთ, რადგან ქულების დაკარგვა კატასტროფა იქნებოდა. ვან დეიკმა მატჩის ბოლოს მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ ეს სერიოზული არ არის და ვირჯილი მალე დაგვიბრუნდება, – განაცხადა კლოპმა. ლივერპულმა ტოტენჰემს ბოლო წუთზე ტოტენჰემის ავტოგოლის წყალობით მოუგო 2:1.

რონალდუს აიაქსთან თამაში საეჭვოა

კრიშტიანო რონალდუს ბარძაყის ტრავმა აწუხებს და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ის მოედანზე. ექიმები ზუსტ დასკვნას არ ამბობენ, მაგრამ დაახლოებით 10 დღეს ვარაუდობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კრიშტიანომ შესაძლოა აიაქსთან პირველი შეხვედრა გამოტოვოს, რომელიც 10 აპრილს გაიმართება.

თვითონ კრიშტიანო ჯერჯერობით კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს, ხოლო იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრომ განაცხადა, რომ მას რონალდუს დიდი იმედი აქვს და პორტუგალიელი აუცილებლად ითამაშებს აიაქსთან.

იან ობლაკი ატლეტიკოში რჩება

მადრიდის ატლეტიკოს სლოვენიელი მეკარე იან ობლაკი გუნდიდან წასვლას არ აპირებს. წლევანდელი სეზონის მანძილზე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ობლაკი წასვლას აპირებდა ატლეტიკოდან და კარიერას ინგლისში გააგრძელებდა. ეს ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა და ობლაკმა მადრიდულ გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. სლოვენიელმა მეკარემ განაცხადა, რომ ატლეტიკოში ძალიან ბედნიერია და ამ კლუბიდან წასვლას არ აპირებს.

ლუკა ზიდანი: „ვამაყობ, რომ სანტიაგო ბერნაბეუზე ვითამაშე“

ზინედინ ზიდანის შვილმა ლუკა ზიდანმა უესკას წინააღმდეგ თავის კარიერაში პირველი შეხვედრა გამართა სანტიაგო ბერნაბეუზე.

ლუკა მეკარეა და მისთვის ეს მატჩი მთლად კარგი არ გამოვიდა, რადგან მან ორი გოლი გაუშვა, თუმცა შეხვედრის მერე ზიდანის შვილი მაინც კმაყოფილი იყო:

– ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ სანტიაგო ბერნაბეუზე ვითამაშე. ის, რომ მთავარი მწვრთნელი მამაჩემია, არაფერს ნიშნავს და მე პრივილეგიებით არ ვსარგებლობ, – განაცხადა ლუკა ზიდანმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 2. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 3. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 4. ფეხსაცმლის საპირედ გამოყენებული თიკნის მაღალხარისხოვანი ტყავი; 5. ირანის პრეზიდენტი; 6. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრწყაროს რაიონში; 14. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლინება; 15. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 16. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 4. ფრანგული ლიქიორი; 7. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 13. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 17. ფულის გამოშვება; 18. კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რაიმეს სისწორეში; 19. პატარა სამკუთხა ალამი; 20. საფარიკაო სპორტული ინვენტარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა